პარასკევი, 1917 წ. ენკენისთვის 8 (21) — წელიწადი მესამე — ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

**რედაქცია**

**საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი** გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა** არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

**რედაქცია ღია არის** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

**გაზეთის ფასი** პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. **განცხადების ფასი**—სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **ხამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. **მისამართის გამოცვლა** ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი. **ფული და წერილები**, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 198 — ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი — № 198

## გაზეთის შინაარსი

### სამულისხმო ცნობები


პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმი ბოლშევიკების რეზოლუციის მიღების გამო, თანამდებობიდან გადადგა, მათ შორის გადადგნენ ჩხეიძე და წერეთელიც.

რევოლიუციური კომიტეტები კვლავ განაგრძობენ მუშაობას, მიუხედავად კერენსკის აკრძალვისა.

გადადგნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი ავქსენტიევი, შრომის მინისტრი სკობოლევი და იუსტიციის ზარუდნი.

ყაზახობა მოითხოვს, რომ კალედინის შეპყრობის შესახებ ბრძანება გააუქმონ.

გერმანეთს ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენა გადაუწყვეტია.

მოქალაქე ზუბალაშვილს რუმიანცევის მუზეუმისათვის 7 მილიონ ნახევრად ღირებული სამხატვრო კოლექცია შეუწირავს.

### წერილები

ზ. მეშაპელი—საქართველოს საეკლესიო კრება.
ტ. ტაბიძე—ქართული ეკლესია.
რ. ინგილო—ეკლესიის დღესასწაული.
დ. კასრაძე—განთავისუფლებული ეკლესია.
ნ. დურნოვოს წერილი ნაექსარხოსალ პლატონის საყურადღებოდ.

ინ-ბანი—პატარა ფელეტონი.
ინჟ. ბ. ჭიჭინაძე—წყლის მოხმარების ენერგიის კანონი (დასასრული).

კორესპონდენცია: ქართლიდან და ქობულეთიდან.

ქუთაისის ახალი საბჭოს სხდომა.



გაზეთ „საქართველოს"
**კონტორისაგან**
**რადგანაც დღითი-დღე სიძვირე**
მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ,
**გაზეთის თითო ნომერი ღირს 15 კაპ.**

წლიური ხელის მომწერლებმა ხელის მოწერის ფასი უნდა შეასრულონ 21 მანეთად, რომელიც უნდა გადახდილ იყოს 15 სექტემბრამდე. ვინც ამ ხნის განმავლობაში ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გზავნა მოესპობა. 1 ენკენისთვიდან გაზეთის ფასი იქნება თვეში 3 მან.
ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ გთხოვთ ფულის გამოგზავნის დროს ბანდეროლის ნომრის აღნიშვნას.



დღეს, 8 სექტემბერს, კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა, ხოლო საფლავზედ პანაშვიდი ქართულ მსროლელთა პოლკის პოდპორუჩიკ

**ივანე დავითის ძე**
**ზაუტაშვილის**
სულის მოსახსენებლად

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მამა მღვდელი დავითი, დედა ეკატერინე, ძმები ერასტი და გიორგი, დები მინადორა, მართამი, ნინო, ანასტასია და ანა და რძლები ანა და ელენე ზაუტაშვილები.

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდისა 12 საათზე (ახალი დროით). 1—777—1



**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ნაძალადევის კომიტეტი**
აუწყებს თავის უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთ, რომ შაბათს, საღამოს 7 საათზე, ეკლესიის სკოლაში, დანიშნულია მორიგი
**პარტიული კრება**
ფრიად საჭირო საკითხების განსახილველად.

**თბილისის გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგ. გამგე კომიტეტი**
აცხადებს, რომ 10 ამა სექტემბერს საღამოს შვიდ საათზედ ქართულ გიმნაზიაში დანიშნულია საზოგადოების
**საგანგებო კრება**
განსახილველია:
1) საკითხი ქართული გიმნაზიის ნივთიერი მდგომარეობისა და სწავლის ფულის მომატების შესახებ; 2) მიმდინარე საქმეები და 3) არჩევნები გამგე კომიტეტისა. 2—762—2

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41 თ—719—12

ექიმი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ხალიტავაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; თავადაზნაურთა სათავადაზნაურო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
**ე. დ. შალამბერიძე**
იღებს საშვილოსნო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—17)

ექიმი
**გ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

ექიმის თანაშემწე
**ვანო საათაშვილი**
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). 14—748—თ.

ექიმი
**მ. გ. მეფისაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—6 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19

ექიმი ქალებს:
**ე. ივ. გოგარაშვილი-მათეშვილისა;**
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ნერქვნიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.


## რუსეთის რესპუბლიკა

### დეპეშები

#### რევოლუციური კომიტეტები მოქმედობას განაგრძობენ.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. უმაღლეს მთავარსარდალ კერენსკის ბრძანების გამო, რომელიც ადგილობრივ რევოლუციური კომიტეტების გაუქმებას შეეხებოდა—ცენტრალ კომიტეტთან არსებულ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველ კომიტეტმა შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „რევოლუციურ დემოკრატიის ადგილობრივ ორგანოებმა კონტრ რევოლუციასთან ბრძოლაში დიდი ენერგია და სიმარჯვე გამოიჩინეს. კონტრრევოლუციასთან სახალხო ბრძოლის კომიტეტს, აქვს რა ეს მხედველობაში, დარწმუნებულია, რომ ეს ორგანოები, კვლავ სერიოზულ მდგომარეობის გამო, ისევ ძველებურის გულმოდგინებით განაგრძობენ მუშაობას.

#### პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის გადადგომა

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მიერ ბოლშევიკების რეზოლუციის მიღების გამო, რომელიც საბჭოს მოქმედებას შეეხებოდა, მთელმა პრეზიდიუმმა: თავმჯდომარე ჩხეიძემ, მის ამხანაგებმა ანისიმოვმა, გოცმა, დანმა, სკობელევმა, წერეთელმა და ჩაიკოვსკიმ თანამდებობას თავი დაანებეს. პრეზიდიუმის წევრთა ახალი არჩევნები საბჭოს საერთო კრებაზე მოხდება. ძველ პრეზიდიუმის ყველა წევრებმა გადასწყვიტეს ერთი კანდიდატურა წამოაყენონ, რომ ამით საბჭოს მიღებული რეზოლუცია ხელ ახლად განიხილვინონ, მით უმეტეს, რომ როდესაც ბოლშევიკების რეზოლუცია მიიღეს ჯარისკაცთა სექციის წევრთა უმრავლესობა აკლდა.

#### მინისტრების გადადგომა.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. დროებით მმართველ სენატისადმი ბრძანებით თანამდებობიდან განთავისუფლებულნი არიან თავიანთივე თხოვნის თანახმად: შინაგან საქმეთა მინისტრი ავქსენტიევი, შრომის მინისტრი სკობელევი და იუსტიციის მინისტრი ზარუდნი.

#### ხმები ებრაელთა დარბევაზე.

**ნიკოლაევი.** ენკენისთვის 2. (დაგვიანებული). ქალაქში ხმები გავრცელდა, ებრაელებს არბევენ და კონტრრევოლუციონერებიც გამოდიანო. ქალაქში ალიაქოთი ასტყდა, მაგრამ საბჭოს დეპუტატთა მიღებულმა ზომებმა მალე წესიერება აღადგინეს. ქალაქის უფროსმა მოწოდებით მიმართა ხალხსა, ყური არ ათხოვოთ ასეთს ხმებს, ებრაელებს არავინ დაარბევს, ხოლო ყოველგვარი უწესოება შეუწყნარებელი იქნებაო. დაარსდა საგანგებო კომიტეტი კონტრ-რევოლუციონერებთან საბრძოლველად.

#### შავრაზმელთა დაპატიმრება.

**ადესა.** ენკენისთვის 2. (დაგვიანებული). შავრაზმელებს აპატიმრებენ. აღმოაჩინეს, რომ მთელი შეთქმულობა ყოფილა პელიავინისა და სხვათა ცხიდან გასანთავისუფლებლად. დაჰკეტეს მონარქისტთა გაზეთი „ილინი როსსია". მათ ბინებში იარაღის რეკვიზიცია მოახდინეს.

#### პეტროგრადის საგუბერნატორო.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. დროებით მთავრობის დადგენილებით ენკენისთვის 4-დან პეტროგრადის საგენერალ-გუბერნატორო გაუქმდა. პეტროგრადის ჯარის უფროსად პოლკოვნიკი პოლკოვნიკოვი დაინიშნა.

#### მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. დროებით მთავრობის დადგენილებით პროფესორი სავინი ეკონომიურ მთავარ კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. გარეშე საქმეთა მინისტრ ტერეშჩენკოს დაევალა მინისტრ-თავმჯდომარის მოვალეობის გაწევა, იმ შემთხვევებში, როდესაც კერენსკი კრებებზე არ დაესწრება.

#### საეკლესიო კრება

**მოსკოვი.** ენკენისთ. 5. საეკლესიო კრება განაგრძობს მუშაობას. ზოგიერთ სხდომებზე მონაწილეობას იღებდა სარწმუნოების მინისტრი კარტაშევი. უმაღლეს საეკლესიო მართვა-გამგეობის შესახებ ორგვარი მიმდინარეობაა: პირველ მიმდინარეობის ხელმძღვანელია ხარკოვის არქიელი ანტონი, რომელიც პატრიარქობის აღდგენის მომხრეა, ხოლო მეორეს ხელმძღვანელობენ პროგრესიული პროფესორობა, რომელნიც მომხრენი არიან საკრებულო გამგეობის. ორთავე მიმდინარეობის შესახებ მოხსენება წარმოდგენილი იქნება, პატრიარქობას დაიცავს პროფესორი სოკოლოვი, ხოლო მეორეს—ზავიტკევიჩი.

#### სამხედრო წესები

**პერმი.** ენკენ. 5. ქალაქ პერმში და მთელ მის მაზრაში საალყო წესები გამოცხადებული.

#### ქარხნების ჩამორთმევა

**ნიჟნინოვგოროდი.** ენკენისთვის 5. მუშათა ორგანიზაციების კრებამ დაადგინა იშუმდგომლონ სორმოვის ქარხნები ჩამოართვას მთავრობამა. მიზეზად ამ ქარხნების დაკეტვას აცხადებენ: სამშობლოსა და რევოლუციის წინაშე ქარხნების დაკეტვა დანაშაულიაო.

#### დემოკრატიული თათბირი

**მოსკოვი.** ენკენისთვის 5. სრულიად რუსეთის კოოპერატიულ კავშირის საბჭომ განიხილა წინადადება პეტროგრადში დემოკრატიულ თათბირის მოწვევის შესახებ. საბჭომ გამოსთქვა, რომ თათბირში ყველა ეროვნება უნდა მონაწილეობდეს და მოსკოვში უნდა მოხდესო.

#### თავდასხმა ფოსტაზე

**დონის როსტოვი.** ენკენისთვის 5. დონის-როსტოვის საფოსტო მატარებელში გაძარცვეს ვესელოვის მომზადებელ საზოგადოების თავმჯდომარე რომანენკო და გამგეობის წევრი ზდოროვენკო. მძარცველებს 150,200 მან. წაურთმევიათ და გაქანებულ მატარებლიდან გადამხტარა.

## კორნილოვის აჯანყება

#### აჯანყებულ გენერლების გასამართლება

**მომქმედი არმია.** ენკენისთვის 5. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის გენერალთა საქმის განხილვას ამ ახლო მომავალში დაიწყებს სამხედრო სარევოლიუციო სასამართლო. სასამართლოს შემადგენლობა შესდგება ერთ-ერთი მებრძოლ დივიზიისგან, რადგანაც გამომძიებელ კომისიის ჩვენებით, საჭიროა, რომ საქმე განხილულ იქმნას განსაკუთრებით მებრძოლთაგან. ბრალდებულ გენერლებმა მიმართეს მოსკოვსა და კიევში, დამცველებად ცნობილ ვექილების მოწვევის ნება მოგვეციოთ. საზოგადო ბრალმდებლად გამოვა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი პავლოვი.

#### კალედინი და ყაზახობა

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 3. (დაგვიანებული) სამხედრო გამგეობამ მოისმინა რა კალედინის მოხსენება მის ოლქში მოგზაურობის შესახებ მასზე წამოყენებულ ბრალდებების გასაუქმებლად—დაადგინა: გაეგზავნოს დრ. მთავრობას დეპეშა, რომლითაც მოითხოვენ კალედინის შეპყრობის შესახებ ბრძანების გაუქმებას. სამხედრო გამგეობა აღნიშნავს რომ ბრალდება კალედინის შესახებ უსაფუძვლოაო.

#### ყაზახთა სამხედრო წრე

**ნოვოჩერკასკი.** ენკენისთვის 6. დაიწყო სამხედრო წრის კრება. კალედინმა უარი განაცხადა საპატიო თავმჯდომარეობაზე. თავმჯდომარეობდა მელნიკოვი. თერგის და ორენბურგის ყაზახებმა განაცხადეს, რომ დონის ყაზახებს უჭერენ მხარს. ატამანის ამხანაგმა ბაგაევსკიმ განმარტა მომხდარი ამბები, კალედინის მოგზაურობის მიზეზები და მის დაპერის შესახებ ბრძანება და განაცხადა, რომ ყაზახობა ყოველთვის უყოყმანოდ ასრულებს დროებითი მთავრობის ყველა განკარგულებას და სინანულით აღნიშნა ის გარემოება, რომ ყაზახობის წინააღმდეგ ამხედრდნენ. ამით შავი ძალები და გერმანეთის აგენტები რუსეთსა და დონის შორის ღვარძლსა სთესენ. ყრილობაზე დაესწრნენ სხვა და სხვა ქალაქების დეპუტატთა საბჭოების თვითმართველობათა და საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოელიან წარმომადგენლებს პეტროგრადიდან და პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოსაგან.

#### კორნილოვის აჯანყების გამოძიება.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 5. კონტრრევოლუციასთან მებრძოლ სახალხო კომიტეტმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ კორნილოვის აჯანყებაში დიდი თანამდებობის პირნიც იღებდნენ მონაწილეობას, რომ კორნილოვის ბოროტგანზრახვას ფართო ნიადაგი ჰქონია დემოკრატიასთან საბრძოლველად, რომ ასეთი ამბები ხალხში კანონიერს სურვილს იწვევს აღმოაჩინოს კონტრრევოლუციის ნამდვილი კერა, რათა შემდეგში საშუალება მოუსპოს მის განმეორებას, რომ მხოლოდ გამომძიებელ კომისიას აქვს განსაკუთრებული ნდობა მოპოვებული ხალხის უმრავლესობაში, რომ იგი მოსპობს ყოველგვარს ბოროტმოქმედებას, მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში, კომიტეტმა აუცილებლად სცნო კორნილოვის აჯანყება მიენდოს გამომძიებელს კომისიას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სასამართლოს უწყებათა წარმომადგენელნი, მუშათა, ჯა-

რისკაცთა და გლეხთა კომიტეტების წარმომადგენელნი ისეთ ადამიანის თავმჯდომარეობით, ვინც ყველას ნდობით იქნება აღჭურვილი. კომისია სრულიად დამოუკიდებელი ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი.

## სამხედრო წესები მოსკოვში

**მოსკოვი.** ენკენისთვის 5. საოლქო ჯარის უფროსი აცხადებს, რომ მთელ ოლქში, მოსკოვისა მის მაზრის და აგრეთვე ოლქის სამხრეთ რაიონის გარდა, სამხედრო წესები მოიხსნა.

## კორნილოვის დეპეშები

**მოსკოვი.** ენკენისთვის 5. სასამართლო პალატის პროკურორმა პრესაში გამოსაქვეყნებლად კორნილოვის დაჭერილი დეპეშები გადასცა. ტელეგრაფში დაჭერილია: 23 ქალაქის დეპოში და რკინის გზის კომიტეტებისა და რედაქციებისა 4.

## ჩერნოვი კერენსკის წინააღმდეგ

„ვოლია ნაროდა"-ში დაბეჭდილია კერენსკის წერილი ჩერნოვის საპასუხოდ, რომელიც „დელო ნაროდა"-ში სისტემატიურ წერილს წერილზე ათავსებდა მის (კერენსკის) პოლიტიკის წინააღმდეგ. კერენსკი „დელო ნაროდას" ყოველს ბრალდებაზე სათანადო პასუხს აძლევს და ამტკიცებს იმას, რომ ჯერ კიდევ ივნისში განზრახვა მქონდა რესპუბლიკის გამოცხადება, მაგრამ ფრონტზე წავედი და საქმეც უნებურად გადაიდო. დაბრუნებისას მან ნახა 8 ივლისის დეკლარაცია, რომელიც ჩერნოვის მიერ იქმნა გამომუშავებული, მაგრამ ამ დეკლარაციაში ხსენებაც არ იყო რესპუბლიკისა. მიწის თავისუფალ სყიდვა-გაყიდვის გაუქმების აქტი გამოტანილ იქმნა კერენსკის მიერ ჯერ კიდევ პირველ მთავრობის შემადგენლობის დროს, მაგრამ შესწორებულის რედაქციით გამოქვეყნდა. რედაქცია ჩერნოვის მონაწილეობით მოხდა ახალ კაბინეტის შედგენის დროს. ვერდერევსკის დაპატიმრება კერენსკის ფრონტზე ყოფნის დროს მოხდა, ჩერნოვის კაბინეტის დადგენილების თანახმად. კერენსკი პროტესტს აცხადებს „დელო ნაროდას" ბრალდების შესახებ, ვითომც მან, კერენსკიმ, კრილოვი გაუხსრელად გაუშვა და შეაძლებინა საჭირო საბუთები თან წაეღო. კრილოვმა თვითონვე გადმომცა დოკუმენტები, შემდეგ ის მოიკლა, როგორც შეჭფერის პირდაპირს და გაბედულს ადამიანსაო. შემდეგ, ჩერნოვმა ს. რევ. კრებაზე განაცხადა ბრძანება დეზერტირების შესახებ, კერენსკიზე სთქვა, ეს ბრძანება დამალა იმ ტომ, რომ იგი კაბინეტმა ჩერნოვის მონაწილეობით მაშინ შეიმუშავა, როდესაც კერენსკი ფრონტზე იყო წასულიო. „ვოლია ნაროდა"—კერენსკის განმარტებას თან ურთავს წერილს „უდირსი კამათი" ს სათაურით, რითაც სამარცხვინო დაღს ასვამს ჩერნოვის მოქმედებას, იგი არ ინდობს ამხანაგს და ზურგში მახვილს სცემს იმ დროს, როდესაც კერენსკი მამაცურად იცავს პარტიის ლოზუნგებსაო. „ვოლია ნაროდა" პროტესტს აცხადებს თანამოზიარეებთან ერთად, რომ ჩერნოვი უდირს საშუალებას ხმარობს, რათა პირადი ინტერესები სამშობლოსა და რევოლიუციის ინტერესებზე მაღლა დააყენოსო. ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ „ვოლია ნაროდაში" წერილი მოათავსა ჩერნოვის წინააღმდეგ, რომელიც ამ ადამიანის დასაგმობად ილაშქრებს, ვინც რუსეთს შესწირა მთელი თავისი ძალღონე და თვით სიცოცხლეო. „საოცარია,—სწერს იგი,—რომ ამ მძიმე წუთებში ხელს ასე ადვილად იბანენ და ქადაგებენ ციმერვალდის დაძმობილებას და სეპარატიულს ზავსაო". „ვოლია ნაროდას" ნუმერმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურსა და პარტიულს წრეებში.

# ომი და ზავი

### დეპეშები

## რუსეთის ფრონტი

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 6. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. ფრონტის სხვა და სხვა ნაწილებში სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** გროზეშტის სამხრეთით, ოკნის რაიონში რუმინელებმა იერიში მიიტანეს ერთ სიმაღლეზე და მის დაჭერაც შესძლეს. დანარჩენ ფრონტზე სროლაა. უმთავრესად კი ირესის რაიონში, გერლეშის აღმოსავლეთით.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა არის რა.

## საფრანგეთის ფრონტი

### საფრანგეთის ბინაკის ცნობა

**პარიზი.** ენკენისთვის 4. მაასის მარჯვენა მხრეზე დიდი საარტილერიო მოქმედებაა. განსაკუთრებით კი—„304" სიმაღლის და კარიერის ტყის ჩრდილოეთით. რონასა და რეინის შუა არხის უბანში მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ.

მფრინავთა მოქმედება. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 4 აეროპლანი ჩამოაგდეს და 6 სხვაც დააზიანეს. ჩვენმა მფრინავებმა სროლა აუტეხეს მტრის ქარხნებსა და ყაზარმებს შტუტგარტში კოლმარის აეროპლანებს, ლოვერლეხის საწყობებს, მეცის სამხრეთით სამხედრო შენობებს, ტიონვილის სადგურს, იუნინგენის ქარხნებსა და სარეცმურგებს.

**პარიზი.** ენკენისთვის 5. სენკანტენის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ბოვერტის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ბეტანკურისა და ნორდოვრის მიმართულებით ჩვენ მტერს დავესხით. ლიამიულტის სამხრეთით ნევშაპელის გზის მიმართულებით მტერი ჩვენს სანგრებს მოუახლოვდა, მაგრამ მალე განვდევნეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები. მაასის მარჯვენა მხარეზე, ფოსსის ტყის რაიონში საარტილერიო ბრძოლაა.

### ინგლისის ბინაკის ცნობა

**ლონდონი.** ენკენისთვის 5. ოფიციალი. ღამით უპრის აღმოსავლეთით, შოტლანდიელმა პოლკებმა მარჯვენა გაითარეშეს გერმანელთა თხრილებზე, განსაკუთრებით არას ჭიშერ და ჰაუერლის სამხრეთ აღმოსავლეთით. რამდენიმე ტყვის დაჭერის და ორი ტყვიასაფრქვევის ხელში ჩაგდების შემდეგ როტები უვნებლად დაუბრუნდნენ თავიანთ პოზ. მტრის არტილერია მხოლოდ იპრის მიმართულებით მოქმედებდა სასტიკი სახით.

**ლონდონი.** ენკ. 5. ინგლისის პალესტინაში მტერს თავს დავესხით. წამოვიყვანეთ 15 ტყვე. მერიკურის სამხრეთით მტერი შეეცადა ჩვენი სანგრების მოახლოვებას, მაგრამ ამოდლინ-სუნ-ვოის რაიონში მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა.

მფრინავთა მოქმედება. მფრინავები ჩვენს არტილერიას, ცუდ ამინდის მიუხედავად ძალიან ეხმარებოდნენ. დააზიანეს მტრის 3 აეროპლანი.

## საფრანგეთის სამინისტრო და სოციალისტები

**პარიზი.** ენკენისთვის 1. (დაგვიანებულია). ახალ კაბინეტს მეტად თანაგრძნობით შეხვდა პალატა. იგი ჰფიქრობს, რომ სოციალისტთა თავის დაჭერა კაბინეტში რომ მონაწილეობას იღებენ, საზოგადოდ პოლიტიკურს მიმდინარეობაზე ცუდს გავლენას არ მოახდენსო. ტომმა განაცხადა, მთავრობას ნდობით ვეპყრობითო. რადიკალ-სოციალისტებიც თავის კმაყოფილად იყვნენ.

## იტალიის ფრონტი

**რომი.** ენკენისთვის 4. ოფიციალი. ტრენტინის ფრონტზე, ჯუდიკარიას ველზე, მტერმა სცადა ჩვენს თხრილებისკენ გამოლაშქრება, მაგრამ სწრაფად შევაჩერეთ საარტილერიო ცეცხლით. კარნიაში მტრის სასტიკი საარტილერიო ცეცხლს ენერგიული პასუხი მოჰყვა ჩვენების მხრით. ფლეს ველის ზემო ნაწილში და ბაინზიცის გორაკების შუა, ენკენისთვის ორს, მტერმა ოთხჯერ მოიტანა კონტრ-იერიში წინა დღით დაკარგულ პოზიციების დასაბრუნებლად, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. ტყვედ წამოვიყვანეთ 75 კაცი, მათ შორის 2 ოფიცერია.

**რომი.** ენკენისთვის 5. ბაკნიოცის ზეგანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მტრის ახალი კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. კარსოსთან ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

## პასუხი პაპის ნოტაზე

**ლონდონი.** ენკენისთვის 4. რეიტერის სააგენტოს ცნობით მოკავშირეთ გადაწყვეტილია პაპის ნოტას პასუხი არ გასცენ იმ დრომდე, ვიდრე ცენტრალური სახელმწიფონი პირველი არ ამოიღებენ ხმას ვატიკანის საპასუხოდ. ინგლისის მთავრობა საზოგადოდ ვილსონის პასუხის თანაზიარი არის.

## პურის საკითხი დანიაში

**ქრისტიანია.** ენკენისთვის 4. რადგანაც საკმაო პური არ მოდის დანიაში, მთავრობამ დაადგინა ხორბლის ფქვილში ქერიც ათურიოთ პურიონ გამოსაცხობლადაო. მალე დაადგენენ ფქვილში კარტოფილიც ათურიონ.

# საქართველოს საეკლესიო კრება

## საქართველოს საეკლესიო კრება

ეკლესია არის მართლმადიდებლობით, მღვდელმთავრობით და საიდუმლოებით შეერთებულ მორწმუნეთა კრებული.

უცხოელთა ტყვეობამ დაავადა ქართული ეკლესია: მის ნაწილთა შორის აღარ სჩანს არც იდუმალი და არც ცხადი კავშირი: მღვდელ-მთავარნი უმოქმედონი, მრევლი ურწმუნო და ტაძარნი ცარიელნი—ასეთი იყო ბედის წერა ივერიის ეკლესიისა მთელი საუკუნის განმავლობაში.

თბილისში რუსთა მიერ აშენებული საექსარხოსო სასახლე ჰქონოდა მცხეთის საკათალიკოსო კათედრას ისევე, როგორც ჰქონოდა ძველად სპარსთა მიერ ნაშენები თბილისის „შურის ციხე" მცხეთის სახელმწიფო ტახტს.

ქართველი ერის ნების ყოფამ დასცა ეს ახალი „შურის ციხე".

დღეიდან ავტოკეფალური ეკლესიის შინაგანი და გარეგანი ცხოვრების მოწყობა ქართველ სამღვდელო და საეროვნო კრებულის ხელში გადადის.. მან უნდა გარდაქმნას საქართველოს საეკლესიო ცხოვრება... იგი ვერ წავა მარჯვნივ წოდებრივ კლერიკალიზმის გზით.. მისი გზა მარცხნივაა. გზა დემოკრატიულ რეფორმაციისა.

ქართულმა ეკლესიამ უნდა აღლოაწოლოს ქართველ ერის თანამედროვე ზნეობრივ-სარწმუნოებრივ ლტოლვილებას, უნდა მოაშოროს ჩვენს ეკლესიას რუსთა ხელით ჩანერგული უცხო ჩვეულებანი და ამგვარად განაახლოს, გააცხოველოს და განამტკიცოს ქართული ეროვნული რელიგია, როგორც თვითმყოფი თავისებური და გასარჩევი რუსთა ან ბერძენთა მართლმადიდებლობისაგან.

ეს ის ხალხოსნური და ეროვნული გზაა, რომლითაც უვლიათ ჩვენზე უფრო ბედნიერ ერთა ეკლესიებს: გერმანულს და ბულგარულს.

ამავე გზით უნდა იაროს ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ... ამავე ხალხოსნურ ეროვნულ გზას უნდა დაადგნენ ქართველ მაჰმადიანთა, ქართველ კათოლიკეთა, ქართველ გრიგორიანთა და ქართველ ისრაელთა ავტონომიური სარწმუნოებრივი მართველობანი... და მხოლოდ მაშინ შეიყრის თავს რელიგიურად დაყოფილი საქართველო ერთ დიდებულ ეროვნულ ტაძარში, სადაც ჩვენ შევძლებთ ერთი და იმავე ქართული ენით შევევედროთ ერთ და იმავე ღმერთს იმ ლოცვით, რომლითაც ლოცულობდნენ ძველ საქართველოში: „საქართველოს მშვიდობიანობისათვის, საზღვართა განმაგრებისათვის, მთავართა დაწყნარებისათვის და მტერთა გარემიქცევისათვის!"

გრიგოლ ვეშაპელი.

## ქართული ეკლესია

ქართულ რელიგიურ შეგნებაზე და ქართულ ეკლესიის საქმეებზე წერა ჩვენში ცუდ ტონად ითვლება. ქართული ეკლესიის საკითხი თავის საპროფესიოთ გაიხადეს რამდენიმე საეჭვო კანონისტმა და საკითხის დაყენება ჯერაც არ გამოსულა ამ უიმედო ტრაფარეტიდან. არავინ ცდილა მოენახა და ჩაეხედა რელიგიურ შეგნების სიღრმეში და ეჩვენებინა მისი გარდუვალი სახე, მიმდევითი კავშირი წარსულ ქართულ კულტურასთან. ქართველ საზოგადოების რელიგიურ ინდიფერენტიზმს არ აქვს გამართლება არც ქართულ ბუნებაში და არც თანამედროვე მოფლმხედველობაში. ქართველების რელიგიით დაინტერესებას მოწმობს გამწვავდ მისი ისტორიული ყოფნა და თანამედროვე ევროპული აზროვნება დიდი ხანია რაც გამოვიდა იმ ჰასაკიდან, როცა ერთმანეთს უპირდაპირებდა მეცნიერებას და რელიგიას. რომ არაფერი ითქვას გერმანეთზე, რომელსაც სახელი აქვს უბიწო ქრისტიანის, საფრანგეთიც—ეს ძველი სკეპტიკი ვოლტერის დროიდან დღეს განიცდის დიდ რელიგიურ ძიებას და მთელი რიგი მწერლების ამზადებენ კათოლიციზმის ახალ რენესანსს. საზოგადოდ რელიგიურ ძიების ნიშნის ქვეშ მიდის დღევანდელი ევროპა, მის გვერდს სულს კიდევ მოუნდა ახალი რწმენით ანთება.

დიდი შეცვლა უნდა მომხდარიყო ქართული ეკლესიის, რომ მას ასე ჩამოშორდა საზოგადოება და ქართული ინტელიგენცია დღეს თავს იტყუებს „ათეისტურის" სკეპტიციზმით.

წარსულში ქართული ეკლესია მართლა ავტოკეფალური იყო. შეიძლება მართლა არსრულდებოდა იყო ის კანონი, რომელიც დადვა ქრისტიანობამ, რომ „კეისარს" მისცემოდა „კეისრისა" და ღვთისა ღმერთსა, მხოლოდ ისე მოხდა ბიზანტიის ეკლესიამ „კეისარი" ღმერთად გახადა და იმას ეთაყვანა, ვერც დასავლეთმა გაუძლო ამ ცდუნებას. რომის ეკლესიამ „კეისარი" არ იწამა, როგორც გარეშე ძალა მხოლოდ თვითონ მიითვისა „კეისრის" თვის გამზადებული უფლება და არსებითად ღმერთი აქაც დავიწყებული იყო. ქართულმა ეკლესიამ გაიარა ეს საეკლესიო ორლობე, მისთვის კრებულობითი დაწყება არ შეწყვეტილა, ხალხმა თვითონ გამოაცხადა რელიგია თავის საქმედ და პირველ ქრისტიანეთა ენტუზიაზმით და წამების ატანით მიჰქონდა ის, სანამ შეეძლო თავის დამოუკიდებლობის შენახვა. არსად არ გამოიჩენია ქართველ ხალხს მეტი შემოქმედებითი თავისებურობა, როგორც რელიგიაში, ჩვენ დღესაც გვაკვირვებს დარჩენილი ფრაგმენტები და ჩვენ კიდევ უფრო გავკვირდებოდით, რომ შეგვეძლოს ამ დაშლილი კულტურის სახის აღდგენა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი კატასტროფა ეკლესიის კატასტროფაც იყო. ქართულმა ეკლესიამ, რომელმაც გაუძლო ბიზანტიის ეკლესიის გავლენას და შეირჩინა თავისი ინდივიდუალობა, სრულიად დაემორჩილა რუსულ ეკლესიას და დამორჩილებული იყო ეს გავლენა. რუსეთმა მხოლოდ მართლმადიდებლობაში გამოიჩინა თავის ეროვნული ხასიათი. ბიზანტიის „ხარისხის პატივისცემა" რუსეთმა თავისებურად გაიგო და ბიუროკრატიული წყობა გახდა მისი სული. იგი თავიდანვე მოკლებული იყო შემოქმედებას, მანამდისაც სანამ დააწესებოდა სინოდის კომმარი. ძველი რუსეთის სახეს აჩენს სერაფიმე სოროვეელი, უკეთესი გამომხატველი რუსული გაჩერების და შემოქმედების მოდუნების. დიმიტრი მერეჟკოვსკი ამბობს სერაფიმ სოროველზე—ველოდით ქრისტე—საქმროს და მოგვიყვანეს ქრისტე—სკოპეცოო".

ბედის დაცინვით „სკოპეცი" სერაფიმე შესცვალა გრ. რასპუტინმა, რომელსაც ყოველ შემთხვევაში „სკოპეცი" არ დაერქმევა. ის უკანასკნელი ათავებს რუსეთის საეკლესიო მოღვაწეთა ციკლს. ქართველი სამღვდელოებაც გაიხადა სინოდმა მოხელეებად, და დაამყნა იმას პერედონოვის „ნედოტიკომკას" სული—ეს უსახო წვრილი მოხელეები, როგორც ყოველი მოხელე შურიანი და ღვარძლით სავსე, მუდამ წვრიმალ ინტრიგებში გაბმული თავის შავ წვირიან ანაფორას აფარებს ქართველ მორწმუნეს სულს და განა შეიძლებოდა, რომ იმას პატივისცემა გამოეწვია?

ქართული ამღვრეული ეროვნული სინიდისი არას დროს არ აპატიებდა მათ „ცარიზმის" სამსახურს და თავის ბედის მორჩილებას. ამ დროში არ ყოფილა დიდი ადამიანი, დიდხანს არი დამქრალი ჰყონდიდელის და ანტონ კათალიკოსის ხსენება. თუ უწინ ბიზანტიელი იმპერატორები საპარადო სალვთისმეტყველო ტურნირებში პირველად უშვებდენ ათონის ქართველ ბერებს და ესენიც ყველას აკვირებდენ ჰკუა მახვილობით და ერუდიციით, თუ უწინ ისეთი იყო წიგნის კულტურა, რომ ახლა ზოგი ქართული წიგნი ბიზანტიურ დაკარგულ ორიგინალებს აფსებენ.

დღეს შეუძლებელი გახდა, რომ ერთი მანალურ იქიმის უწვრო წიგნი „სული და ტვინი" მოვლენად ჩაითვალოს. მე არ ვიცი რამე ამაზე უფრო შეურაცმყოფელი და დამამცირებელი, როგორც ამ წიგნზე პოლემიკა. არაფერ აშენებას არაფერ შემოქმედებას ამ დროს ადგილი არ ჰქონია, მაღალი თავიანი ქართული ეკლესიები, რომელნიც აჩენდენ წინაპართა სულის სიმაღლეს ძვირფასი არქიტექტურული და მხატვრული ნაშთები გაგრძელების მაგიერ მოუვლელობით თანდათან ჰქრებოდენ. აწინდელი ეკლესია ვერ აკმაყოფილებდა ხალხის ვერც რელიგიურს და ვერც ესტეტიურს მოთხოვნათ. ქართველი ხალხი, რომლის სულის სიღრმეში სცხოვრობს ტეატრალიზაცია, რომელმაც ქრისტე იწამა, როგორც უდიდესი მხატვარი და ესტეტიური ფენომენი და ამგვარი შეგნება აღბეჭდა ადათებში და სალვთო რიტუალში ვერ ინელებს ეკლესიის განძარცვას და გაშორდება მას.

ხალხი დღეს კორწილში მღერის საეკლესიო საგალობლებს და ეკლესიაში კი არ ეკარება.

ხალხს უნდა თვითონ იყოს მომქმედი მისტერიების, მაგრამ ეკლესიაში მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა.

ამ დროს იწყება ქართული ეკლესიის ხელახლა გარდაქმნა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა დღეს ფაქტია, მაგრამ გარეგან ავტოკეფალობაზე უფრო საჭიროა შინაგანი ავტოკეფალობა, ეკლესიის გარდაქმნა შიგნიდან უნდა მოხდეს, უნდა ჰპოვოს მისი ძველი საფუძველი, ხელახლა ადგეს კრებულობა.

ამ შინაგან გარდაქმნისათვის მეტი ბრძოლა და სიმტკიცეა საჭირო, ვინემ სინოდის ჩამოშორებისათვის და ამის შესრულებაზეა დამოკიდებული ქართული ეკლესიის ბედი. ეს გარდაქმნა შეუძლებელია, რადგან დაუჯერებელია სამუდამოდ ჩამქრალიყო წინათ ობათა ცეცხლი, ეკლესიის საწყისიც სჯერა აქ კი არაფერი არის საწყისის დაგვარი.

ამიტომ არა დროს ასე აზრიანი არ იქნება, ეს უწრფელო სიტყვები როგორც დღეს სიონში:

— სული წმიდა დამკვიდრე ღმერთო ჩემთანა და სული წრფელი განმიახლე მე.

ტიტე ტაბიძე

## ეკლესიის დღესასწაული

აღდგენილი თავის ისტორიულ და კანონიურ უფლებებში საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია 117 წლის იძულებითი შეწყვეტის შემდეგ დღეს კვლავ განაგრძობს საეკლესიო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

მიუხედავად იმისა, რომ დროებითი წესები საქართველოს ეკლესიის მღგომარეობისა რუსეთის სახელმწიფოში ეწინააღმდეგება ჩვენი ეკლესიის ძირითად დებულებებს, ჩვენ მაინც სიხარულით ვეგებებით ეკლესიის აღორძინებას იმ იმედით, რომ გამოქვეყნებულ წესებს ექნებათ მხოლოდ დროებითი ხასიათი და საქართველოს ეკლესია მთელი ერის დახმარებით სძლევს მის წინაშე აღმართულ დაბრკოლებებს.

დღეს სამშობლოს ყოველ კუთხიდან ჩვენს დედა ქალაქში თავი მოუყრიათ რწმუნებულებს, რომ შეასრულონ უდიდესი სამოქალაქო და საეკლესიო მოვალეობა და აირჩიონ საქართველოს ეკლესიის თავი—სრულიად საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი.

რუსეთის რევოლიუციის მეოხებით საქართველომ ჯერ-ჯერობით თავისუფლება მიიღო მხოლოდ საეკლესიო ცხოვრებაში, დანარჩენი მხარე ეროვნული ცხოვრებისა ისევ გათქვეფილია რუსეთის სახელმწიფოში და დღესაც შორეული პეტერბურგი ატრიალებს ქართველი ერის ბედის ჩარხს. მაგრამ რევოლიუციის მიმდინარეობა და სოციალ-პოლიტიკური საერთო ვითარება გვარწმუნებს ჩვენ, რომ ქართველი ერის სულის ძიებას, მის შეუდრეკელ ნების ყოფას ანგარიში გაეწევა და მის თანხმად მოეწყობა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

საქართველოს ეროვნულს ხელს დღეს საძირკველი ეყრება; მისი გამაგრება და გასალ-კლდევება თვით ქართველ ხალხზეა დამოკიდებული. ჩვენ უნდა მტკიცედ გვახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყნის არსებითი ინტერესი უცილობლად მოითხოვს ქართველი ერის ცხოვრების ყოველ დარგის შესაფერად მოგვარებას, რადგანაც ერის ჭეშმარიტი განთავისუფლება იგულისხმებს დადებით და შემოქმედებითი მოქმედებას ერის საერთო აღორძინებისათვის და, მაშასადამე, ქართველი ეროვნული მუშაკი თანაბრად უნდა იღვწოდეს მთელი ერის სასარგებლოდ, რომ ერის ყველა ცოცხალი ძალა გამოიყენოს საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების განახლების ჟამს...

კათალიკოს-პატრიარქის არჩევა ეგზომ ხნის უცხოთა ბატონობის შემდეგ სამართლიანად უნდა ჩაითვალოს პირველ ხარისხოვან ეროვნულ-პოლიტიკურ აქტად, რომელიც ძირიანად შესცვლის ეკლესიურ ცხოვრების ყოფა-ცხოვრებას და უწინარეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ ყოველგვარად ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ეროვნულ შეგნების გაღვივებას და გაფართოებას.

ამ საერთო ეროვნულ თვალსაზრისითაც საქართველოს აღდგენის განთიადს შეკრებილი საეკლესიო ყრილობა წარმოადგენს ჩვენს ცხოვრებაში ფრიად საგულისხმო მოვლენას! მას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ქართველი საზოგადოება და წრფელი გულით უსურვოს კეთილად დააგვირგვინოს დიდი ეროვნული საქმე.

რ. ინგილო.

## განთავისუფლებული ეკლესია

ცენტრიდან შემოთვლილი მუქარა და ადგილობრივ რუს სამღვდელოების ზეწოლ საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების ინიციატორ მიტროპოლიტ ლეონიდის შესახებ მხოლოდ მომენტის დიდმნიშვნელოვანების შეუგნებლობაა და სხვა არაფერი. რუსის სამღვდელოება, მთელს ბორიტებას ლეონიდზე ჰხედავენ. იგი წყეული, ანტიქრისტე, საბოლოოდ გერმანელის აგენტადაც მონათლეს „პეტრ. გაზეტას" ფურცლებზე, ვითომც მათი მეუფე ბა მიტროპოლიტი ლეონიდი ყოფილი ლუტერანია, გვარად შვარცფელდი. არ შეიძლება ხსენებულ გაზეთის ასეთი ნაბუთიანი ლეონტისა და ლეონიდის შუა შეცდომითი აღრევა, ეს განგებაა რუსის მართლმადიდებლობის ასასიო ნებელად, რომ ეკლესიის საკითხი გაგვირყვნოდ და ავტოკეფალიის დაგვირგვინება მიაწერონ ვითომც გერმანეთის აგენტს, ვიდრე მთელი ერის ნებასყოფას განმასახიერებელს საყვარელს მწყემსმთავარს!

მაგრამ საქმე ხომ თუნდა „ლუტერან-შვარცველდ-ლეონტ-ლეონიდეში" არაა, არამედ თვით ავტოკეფალიის საკითხში, რომელიც დიდი ხანია რუსეთის ბიუროკრატიას თვით ცხოვრებამ წამოუყენა. 17 საუკუნის განმავლობაში, ვიდრე საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, ჩვენს ავტოკეფალურს ეკლესიას არავინ შეჰხებია, თუმცა ნახევარმთვარისა და ათას ურდოთა ფარმალი გადამსხვრეულა ჩვენი ერის წამებულს შუბლზე. რუსეთის ბიუროკრატიამ არ იკმარა, რომ იგი კათალიკოსის გამწესება და გადაყენების უფლებით შეჰმოსა ჩვენმა ერმა, ერთი კალმის მოსმით გააუქმა თვით კათალიკოსობა, რასაც არ ვხედავთ არც ერთს საბედისწერო ეპოქაში არაბთა თუ მაჰმადიანთა ბატონობის დროს! ამას მოჰყვა უკანონო ძარცვა-გლეჯა ჩვენი ეკლესიებისა, სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის გაუქმება, სიონი, სიმბოლო ჩვენი დედა ქალაქის ჩვენობისა მოსწყვიტეს მშობლიურს წირვა გალობას და, რაც უფრო უარესია, ხელი მიჰყვეს მწყემსთა მოხელეობრივ ფაბრიკაციას. ძნელად, რომ მრევლს ისეთი მწყემსი მოვლინებოდა, როგორსაც სჩვეოდა ძველად, ავტოკეფალობის დროს, როგორც სიწმინდისა, სიყვარულისა და სათნოების გამომსახველისას. მრევლს ახსოვდა ძველი მწყემსნი, რომელნიც მუდამ ხალხთან რჩებოდნენ და არავითარ დევნას და წამებას არ ერიდებოდნენ, თუნდაც ველურ მტერს შემოენგრია სამზღვრები და ერის ყოფნა არ ყოფნა საბედისწერო სასწორზე შეეგდო. სინოდმა შესძლო შეუძლებელი, მწყემსთა ნაცვლად მოხელენი მისცა, ხშირად თავის წოდებას დაშორებული. განა საკვირველია, თუ ასეთს შემთხვევაში ერი ადრტენდებოდა და რუსის ეგზარხოსებიც აღლოს კანონის თანახმად ცენტრალურ წირვა ლოცვას შესასრულებლად იძულებულნი ხდებოდნენ ყაზახ-რუსებით შემორტყმული ეარაღ ხელით?

საბოლოოდ თვით ბიუროკრატია მიხვდა, რომ საეკლესიო რეფორმები იყო, თუმცა მაგვიანებით იგი 1905 წ. სარევოლიუციო ქარიშხალის უწყნარესი ბრძანება გახლდათ! ჩვენდა სავალალოდ სინოდის შეკითხვას საეკლესიო რეფორმების შესახებ ჩვენმა მონელე და უკვე დაკნინებულმა სამღვდელოებამ შიშით ვერ გასცა პასუხი, თვინიერ დღევანდელ საეკლესიო გმირისა მიტროპოლიტ ლეონიდის, რომელმაც გაწირა თავი და გაბედულად ვრცელი მოხსენება წარუდგინა სინოდის ობერ-პროკურორს, სადაც დაბეჯითებით მოითხოვდა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ისიც ტერიტორიალურს ნიადაგზე!

საბედნიეროდ ერთხელ გადადგმული ნაბიჯი ავტოკეფალიის ნიადაგზე სასურველს გამოძახილს ჰპოვებს ჩვენს სამღვდელოებაში. ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მაგალითით წათამამებული სამღვდელოება ხმას იმაღლებს, პეტიციას პეტიციაზე ჰგზავნის, ვიდრე რეაქცია სასტიკს მახვილს მოუქნევდა და სტოლიპინის რეპრესიები სამღვდელოებას ისევე არ ჩააჩუმებდა, როგორც ყოველგვარს მოძრაობას თავისუფლების ნიადაგზე.

მაგრამ აი, დაჰკრა სასურველმა საათმა. 1917 წელმა რუსეთის იმპერია რესპუბლიკად გამოაცხადა. ქართველ ერმაც იფეთქა თავისუფლების წყურვილმა და, უწინარეს ყოვლისა, პირველი ნაბიჯი სწორედ მიყ განთავი-

სუფლება-განსპეტაკებისკენ გადასდგა, რომ შემდეგ პოლიტიკურს სარბიელზე გასულ მებრძოლთათვის გზა დაელოცნა. ბედმა და გარემოებამ ამ შემთხვევაში ისევ საყვარელ ლეონიდეს არგუნა ჯვრის [illegible]. 12 მარტიდან ჩვენი ეკლესია ჰშორდება რუსის ეკლესიას და ავტონომიურად განაგებს თავის თავს. 12 მარტის თარიღი უდიდესი ძეგლია ჩვენი ეროვნულ აღორძინებისა და განთავისუფლების ისტორიაში, არა მარტო იმიტომ, რომ მან მორკალი აჰხსნა ჩვენს ეკლესიას, არამედ იმიტომაც, რომ მან ამავე დღის აქტით გადაჰჭრა მეზობელ ერებთან ამ საუკუნეში წარმოყენებული საკითხი თბილისის შესახებ—იგი ამ დღიდან კვლავ საქართველოს დედა-ქალაქად იქნება აღიარებული, რის მოწმეც სიხარულის ცრემლით გაბრწყინებული სიონია!

დღეს ჩვენი განთავისუფლებული ეკლესიის განსაკუთრებული დღეა, დღე ამაღლების, დღე—გვირგვინოსნობის! სიონი კვლავ იხილავს მთელ საქართველოს კუთხიდან წარმოგზავნილ შვილთ, მის თაღთა ქვეშ ჩამოკვრება ქართული ზარი, ქართულ ენაზე გაისმება „რომელნი ქერუბიმთა"-ის ხმა, რომლითაც მორწმუნის სული და გული მიჰფრინავს ციურ სიონის სამყაროში, დღესვე მწირველია სხვათაგან შერჩენილი და ჩვენგან შეყვარებული უსაყვარლესი მწყემსმთავარი ლეონიდე, რუსეთში გადასახლებული წამებულნი და ტანჯვით განსპეტაკებულნი კირიონი, დავით, ამბროსი, დღესვე გახსნილი იქნება პირველი კრება ერთად შემოკრებილ ქართლ-კახეთ-იმერ-ამერთა სამღვდელოება, დღესვე დაიწყება სამარადისო გვირგვინი ჩვენი ერთობისა, სიყვარულის და აღმაღლების! დიდ დღევანდელმა დღემ შეგვაძლებინოს საფიცარის დადება, რომ უკეთესი იქნება ჩვენი მშობელი სიონის დანგრევა, ვიდრე მის თაღთა ქვეშ როდესმე მაინც უცხო საგალობლის გაგონება, რაიც, უეჭველია, ნიშანი იქნება ავტოკეფალიის გაუქმების და ჩვენი ეკლესიის ახალი დაქვრივებისა.

**დ. კახრაძე.**

## ნამზარხოსალ პლატონის საყურადღებოდ

(დუშნოვის წერილი)

პატივისა და უფლების მოყვარეობა ხშირად განათლებულებსაც უხშავს აზროვნებას და მათ აღარ შეუძლიანთ შექმნან რამე სასარგებლო.

მეუფე პლატონი 1902 წლიდან—1907 წლამდე კიევის სასულიერო აკადემიის რექტორად იყო; 1907 წელს არჩეულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროს წევრად, სადაც ვ. ნ. ლვოვს დაუმეგობრდა კირ-პლატონს ბედმა იმდენად გაუღიმა, რომ 5 წლის შემდეგ მთავარ ეპისკოპოსობა მიიღო, მაშინ როდესაც მოსკოვის სასულიერო აკადემიის რექტორი ეპისკოპოსი ქრისტეფორე უფრო მეტად ნასწავლი და სღვთისმეტყველო ნაშრომებით ცნობილი 20 წლის სასახურის შემდეგაც ვერ ეღირსა მთავარ ეპისკოპოსობას.

ეხლა პლატონს თეთრი სამიტროპოლიტო ვარშამანგი ეზმანება.

ვ. ნ. ლვოვს სურვილი არ აუსრულდა. მას ხომ სურდა პლატონისათვის პეტროგრადის კათედრა მიეცა. შემდეგ მოსკოვის [illegible]; ჩვენი სურვილი კი ასრულდა და მოსკოვის კათედრაზე ლიტვის მღვდელმთავარი ტიხონი აირჩიეს.

კირ-პლატონს სურს თბილისის მიტროპოლიტად ყოფნა და იმავ დროს—„კავკასიის ეგზარხოსობა"-ც. მივეშველოთ დიდ მეუფეს ამის გარკვევაში.

თბილისის სამიტროპოლიტო მცხეთის საპატრიარქოს ერთ-ერთ სამიტროპოლიტოდ ითვლება. უკანასკნელი მიტროპოლიტი იყო არსენ ნაზაიძე († 1812 წ.). თუ ივერიის ეკლესია ავტოკეფალურია, როგორ შეუძლიან სხვა ავტოკეფალურ ეკლესიას ქართულ კათედრებზე თავის მიტროპოლიტები დასვას. რა თქმა უნდა, რომ მიტროპოლიტი პლატონი თბილისის მიტროპოლიტად მხოლოდ ქართველ პატრიარქის ნებართვით შეიქმნება—წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მხოლოდ მწვალებელი შეიქნება და არვინ ქართველი მისგან ლოცვა-კურთხევას არ მიიღებს.

ქართველ პატრიარქის მორჩილებას კირ-პლატონი იუკადრისებს, მაგრამ აღმოსავლეთ ეკლესიის წესებით კირ-პლატონმა პატრიარქთან წირვის დროს არამც თუ მას ლოცვა-კურთხევა უნდა გამოსთხოვოს და ხელზე აკოცოს, არამედ უნდა იდგეს მღვდლების გვერდით სამთავრის, გელათის, ჭყონდიდის და სხვა მიტროპოლიტებს ქვემოდ უკვერთხოდ.

ქართველები თავიანთ ეკლესიაში უწესობებს არ მოითმენენ და რუსულ ეკლესიებს არ მიჰბაძავენ, რადგანაც მათი ეკლესია ბერძნულ-ქართულია და არა რუსულ-ქართული. მერე როგორ უნდა გამოახწიოს პლატონმა იმ წუმპედან, სადაც იგი სიამაყემ ჩააგდო და არა ეპისკოპოსურ თავმდაბლობამ? თვით მან კარგად იცის, რომ როგორც კესარია კაბადოკიისა ან და მცხეთისა მიტროპოლიტად ვერ გახდება, ისე თბილისის მიტროპოლიტობა არ ეღირსება, რადგან მას უზურპატორად ჩასთვლიან და თბილისის ცრუ მიტროპოლიტად საქართველოში ყოფნა მეტად აუტანელი იქნება. ქართველი ღვიძლი ძმა რუსისა და მათ შორის საყდარში განსხვავება არ არის. 100 წელიწადი იტანჯნენ ქართველები რუს ეგზარხების უღლის ქვეშ, რომელთაც გაცარცვეს ქართული ეკლესია, მოუსპეს ქონება 150 მილიონ მანეთზე მეტად ღირებული. ქართველ ღვდელმთავრებს რუსეთში ასახლებდნენ, სადაც ისინი ჰავას ვერ ეგუებოდნენ და იტანჯებოდნენ. როდესაც ქართველებმა თავიანთ ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინეს—რუსებს არ ჰსურთ, რომ ქართველ მღვდელმთავრებს დაემორჩილონ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ომში რუსეთისათვის აუარებელი მსხვერპლი გაიღეს.

ქართველებს არასოდეს არ ჰსჯავრებიათ ძმები და მათი კეთილი განწყობილება სხვა სარწმუნოების მქონე ერისადმიც ყველასათვის ცხადია. სომხები ასეც არ მოეკიდებოდნენ საქართველოს და სატახტო ქალაქში არ იბატონებდნენ, რომ ეს ასე არ იყოს.

კირ-პლატონს ჰსურს დაიმორჩილოს საქართველოსი და ამიერ-კავკასიის ბერძნები. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბერძნები, რომელთაც ასე [illegible] ქართველებზე, უპასუხებენ, რომ ქართველებთან მათ ძმური განწყობილება 15 საუკუნეზე მეტი ჰქონიათ და სარწმუნოებრივ კავშირს არც ეხლა შესწყვეტენ. ბერძნებიც ხომ რუსები არ არიან: თავიანთ სარწმუნოებას არვის შეალახვინებენ. კირ-პლატონმა თვით უწყის, რომ ბორჩალოს მაზრის, ბათომის და სოხუმის ოლქის ბერძნებმა (60 ათასი სული) ახტალის სამთავროს აღდგენა ითხოვეს და რა თქმა უნდა, მას კირ-პლატონს კი არ უმორჩილებენ არამედ მცხეთის პატრიარქს.

ეს კიდევ ცოტაა. თვით ყარსის ოლქის ბერძნებმაც კი არ ისურვეს პლატონის მორჩილება. ისინიც ხომ 50 ათასამდე იქნებიან. ასე, ნა ისე ბევრი რუსობა სცხოვრობს საქართველოში, რომ მეუფე პლატონ სურს სამწყსოდ გაიხადოს?

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯარისკაცებს, რომელთაც თავიანთ სამხედრო მღვდლები ჰყავთ, რომელნიც სამხედრო მთავარ დეკანოზს ემორჩილებიან — რუსები (დროებით მცხოვრებ მოხელეებით) სულ 40—50 ათასამდისაც ვერ მოგროვდებიან. აი მთელი სამწყსო კირ პლატონისა. არის აგრეთვე ბაქოს საეპისკოპოსო, რომლის ეპისკოპოსადაც არის—**შავი გრიგოლი**, მაგრამ ეს საეპისკოპოსო ნახევრად დამოუკიდებელია.

კირ-პლატონმა უნდა სხვა წოდება მიიღოს, მაგრამ არა რომელიმე ქართულ ეპარქიისა, არამედ იმისა რომლის მთელი მცხოვრებნი მას დაემორჩილებიან.

ასე, რომ პლატონს დაემორჩილება: ბაქოს, ყარსის, ელისავეტოპოლის, ერევნის გუბერნიები და ზაკასპიის ოლქი.

შავი ზღვის გუბერნია მას არ შეეშვენის. იგი ეკატერინოდარიდან შორს არ არის და იქ კი თავისი ეპისკოპოსი ჰყავთ.

პლატონის პატივისა და უფლების მოყვარეობისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა **„ამიერ კავკასიის, ზაკასპიისა და დიდ სომხეთის ეგზარხოს" წოდება, რადგან სომხების ყოფილი ოლქები, ამ ჟამად უმეტესად მაჰმადიანებით დასახლებული, კირ-პლატონის საეპარქიოში შედიან.**

ბაქოში მას ეყოლება ეპარქიულ უფლებიანი ეპისკოპოსი; მეორე—ნახევრად დამოუკიდებელი და მესამეც— ყარსში. რუსულ მხრეთს ქართულ პატრიარქთან ხელშეკრულებით უფლება ექვთ გამოეყვნენ ყველა ქართულ ეპარქიებს და კირ-პლატონს დაემორჩილონ, როგორც 1454 წ.—1788 წ. მოსკოვში კათედრის მქონე სარისა და პოდონის მიტროპოლიტისავით თბილისში ექნება კათედრა.

სარის მიტროპოლიტს კათედრა მოსკოვში მიძინების საკათედრო ტაძარში ჰქონდა, ხოლო ეპარქია: ებლინდელ კალუგი', სმოლენსკისა და ორლოვის ეპარქიების საზღვრებში. მაგრამ კირ-პლატონმა ალბად ეს არ უწყის.

არ ვიცით მიაქციეს თუ არა ყურადღება „პეტრ. ვედ." მკითხველებმა „სინოდის" ზოგიერთა აქტებს, რომლებზედაც მთავარ ეპისკოპოს სერგის, ეპისკოპოს ანდრიას და მთავარ დეკანოზ ნ. ლიუბიმოვს ხელი არ უწერიათ. ზოგი აქტები ხომ ქართულ ეკლესიასაც შეეხებოდა. სჩანს რომ მათ სინდისი ჰქონიათ და უკანონო დადგენილებებზე ხელი არ უწერიათ.

გვშიშობთ, რომ ბედმა არ უღალატოს კირ-პლატონს ისე, როგორც მთავარ ეპისკოპოს ვლადიმირ პუტიატას. კიევისა და ჩრდილო ამერიკულ ცხოვრების მეუფე ხომ შორს არ გასცილდა თბილისის თავის წინამოადგილე ნიკონსა და ინოკენტის. მაგრამ კმარა! მთავარ ეპისკოპოს პლატონს ურჩევთ მეტი იფიქროს მშვიდობაზე და სიყვარულზე... („პეტრ. ვედ.")



სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე, თბილელი მიტროპოლიტი ყოვლად სამღვდელო ლ ე ო ნ ი დ ე.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **დამფუძნებელი კრება.** კრების მომწვევ ამიერ-კავკასიის ცენტრალ კომისიამ დაადგინა მიანდოს თავისს წევრებს ნ. რამიშვილს, დ. გაჯინსკის და ლ. თუმანოვს იშუამდგომლონ დროებითი მთავრობის წინაშე: 1) თუ რაიმე მიზეზის გამო ზოგიერთ მაზრაში აღწერილობა არ მოხდება, ამის გამო ამიერ-კავკასიას უფლება არ წაერთვას დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობისა; 2) ვინაიდან არჩევნები ხარჯს მოითხოვს და მთავრობას ჯერ ფული არ გადაუდვია ამისათვის, სთხოვონ დროებით მთავრობას, რომ მისცეს კომისიას 1 მილიონი მანეთი, ხოლო ეს თუ შეუძლებელი იქნება, იმ შემთხვევაში კომისიას საერობო თანხიდან მიეცეს საჭირო ფული.

◆ **მთიელთა დივიზია და ე. მაჩაბელი.** მაჰმადიანთა ცენტრალი კომიტეტი პეტროგრადიდან დეპეშით აცნობებს კავკასიის დროებით სარევოლუციო კომიტეტს: ქართველ მხედართა კავშირის წევრმა როტმისტრმა ე. მაჩაბელმა, მუსულმან დელეგატებთან ერთად, რომელნიც მოციქულად იყვნენ გაგზავნილნი მთიელ დივიზიასთან, დიდი ღვაწლი დასდო მაჰმადიანობას, განუმარტა რა დივიზიას შექმნილი პირობები. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ მხედართა კავშირს.

◆ **სკოლის ნაციონალიზაცია.** კავკასიის დროებითმა სარევოლუციო კომიტეტმა განიხილა საკითხი სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ და მისი ეხლავე განხორციელება საჭიროდ სცნო. ამიტომ სთხოვა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ ეხლავე განიხილოს პროექტი ნაციონალიზაციის შესახებ და დაამტკიცოს იგი. სარევოლუციო კომიტეტის მხრივ პროექტის განხილვაზე დელეგატად არჩეულია ალ. ლომთათიძე.

◆ **ვოლგის მაჰმადიანთა საზოგადოება.** თბილისში ვოლგის პირას მცხოვრებ მაჰმადიანთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა.

◆ **სამოსწავლო საბჭოს ახალი წევრები.** სამოსწავლო ოლქის კომისარიატთან არსებულ საბჭოს წევრებად მუსულმანთა მხრივ დანიშნული არიან მ. ი. მირზაევი, სეფხა-ვერდიხანოვი და ორუჯ ალიევი ნაცვლად ა. შინასაზოვისა და ალიევისა.

◆ **ილიკო ქურხული.** ამ ზაფხულს ველოსიპედით მოიარა სამეგრელო აბხაზეთი—ახალსენაკიდან ტუაპსემდი მოხეტიალე მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა. გზა და გზა მართავდა ლექცია კონცერტებს და ხალხს აცნობდა თავის იდეას ხალხის მუსიკალურად აღზრდაზე. ქართული საზოგადოება თანაგრძნობით ხვდებოდა და ხელს უწყობდა თვის საქმეში.

◆ **სოც.-რევოლ.** პარტიის საოლქო კრება 15 ენკენისთვიდან 30 ენკენისთვისათვის გადაიდვა.

◆ **სომეხთა ეროვნული კრებაა** მოწვეული 27 ენკენისთვისათვის. კრება სამ დღეს გასტანს.

## ოზურგეთი

◆ **სავაჟო გიმნაზიაში** მისაღები ეგზამენები იმათთვის, ვისაც პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი არ აქვთ დამთავრებული, დანიშნულია 11 სექტემბერს, მეცადინეობა დაიწყება 20 სექტემბრიდან.

## ს. ბოდბე

◆ დედათა მონასტრის წინამძღვრად, ნაცვლად გადაყენებულ ანასტასიისა, დაინიშნა თეკლათის მონასტრის წინამძღვარი ნინო (სოფლად ელენე ვაჩნაძე).

## კავკავი

◆ **თავის მოკვლა.** რევოლვერით თავი მოიკლა თბილისის სასაკლაოს ამშენებელმა ინჟენერმა მ. პ. ოგანჯანოვმა. მიზეზი მკვლელობისა უზომო ფულის ხარჯვაა.

## ს. უშაფათი

◆ **ირ. წერეთლის სახელობის სამკითხველო.** სოფ. უშაფათში (სამეგრელო) ირაკლი წერეთლის სახელობის სამკითხველო გაიხსნა. საჭიროა დახმარება. შემოწირულება მიიღება როგორც ფულით ისე წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. მისამართი: ახალსენაკი. დომენტი კეჟულარიას. სამკითხველოსთვის.

## თბილისის ბოლშევიკების მოთხოვნილებანი

თბილისის ბოლშევიკების მოთხოვნილება მათ პარტიულ ორგანოს განცხადების მიხედვით შემდეგია: 1) შეიარაღდნენ ყველგან რევოლუციური ჯარი და მუშები. 2) დაიშალოს და იარაღი აეყაროთ კონტრ-რევოლუციურ ნაწილებს. 3) შეპყრობა მეფის გენერლების და კონტრ-რევოლუციურ სამხედრო ორგანიზაციების მეთაურებისა. 4) შეპყრობა ბურჟუაზიულ კონტრ რევოლუციის მეთაურებისა (**როძიანკო, მილიუკოვი, გუჩკოვი, რიაბუშინსკი,** როდიჩევი და მაკლაკოვი). 5) დაიხუროს და გაირეკონ სახელმწიფო სათათბირო, მოსკოვის საზოგადო მოღვაწეთა საბჭო, ოფიცერთა კავშირი, სამხედრო ლიგა და სხ.

## უკანასკნელი დეპეშები

### პეტროგრადიდან

**ხალხის თავისუფლების პარტია მოუწოდებს წევრებს მონაწილეობა არ მიიღონ დემოკრატიულ ყრილობაზე. პარტია აღნიშნავს, რომ მომავალი თათბირი ხატავს მხოლოდ ჩხეიძის პლატფორმაზე შეთანხმებულ მიმდინარეობასო.**

—

**მომავალ დემოკრატიულ თათბირისა და მასზე დამოკიდებულ მთავრობის შექმნაზე „რაბოჩაია გაზეტა" სწერს: ძლიერი მთავრობა მარტო ხმოსნების წინაშე პასუხისმგებელი იქნება. დამფუძნებელ კრებამდე უმრავლესობა სურვილის გამომხატველად, დემოკრატიულ თათბირზე არჩეული პარლამენტი იქნება.**

—

**„დელო ნაროდა" აღნიშნავს, რომ საბჭოების დაუკითხავად მთავრობის შექმნა სამოქალაქო ომის მომასწავებელიაო.**

## ქუთაისის ქალაქის ახალი საბჭოს სხდომა

პარასკევს, 1 ენკენისთვეს საღამოს 8 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში გაიხსნა პირველად ქუთაისში ქალაქის ახალი, დემოკრატიული საბჭოს სხდომა. კრებას ხმოსანთა დიდი უმრავლესობა დაესწრო. 66 კაციდან მოვიდა 56 კაცი. საბჭოს ახ ლ, სადღესასწაულო კრების გამო გარეშე სტუმართა ადგილებიც ერთიანად სავსე იყო. კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის ყოფილი მოურავი ბ-ნი ი. ჩიქოვანი. კრების გახსნისას ის მიესალმა (თუმცა რუსულად, რაზედაც რამდენიმე ხმოსნისაგან სამართლიანი შენიშვნა მიიღო) ახალ ხმოსნებს. აღნიშნა, ქალაქის საბჭოების დანიშნულება დღეს უფრო დიდია, რადგან მარტო ადგილობრივ სამეურნეო მოთხოვნათა დაკმაყოფილებით კი არ განისაზღვრება, მათი მოქმედება არამედ ისინი ვალდებული არიან დარაჯათ უდგნენ რევოლუციასაცო. პერიფერიების მუშაობას რევოლუციის გამაგრებაში დიდი როლი მიაწერა, ხოლო ყველა ახალი საქმის მთავარ მიზნად რევოლუციის გამარჯვება დასახა. მან ერთხელ კიდევ გაიხსენა ცენზიანი ქალაქის საბჭო, გუბერნატორის „ოპეკა" და მოგონებათა შავ წყვდიადს გაჰყოლა ეს. სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოუწოდა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ გ. ზდანოვიჩის და ძმათა საფლავზე დაკრძალულთა ხსოვნისათვის.

შემდეგ თავმჯდომარე მორიგ საქმეებზე გადავიდა. პირველი კითხვა იყო ახალ ხმოსნის აზრის თქმა მათ მომავალ მუშაობაზე. თავმჯდომარემ გახსნილ კრებას ძველი საბჭოს წესი, სადაც ხმოსნები ფიცსა სდებდნენ. კრებამ ამ საკითხზე მოკლე მსჯელობის შემდეგ უარჰყო ფიცის მიცემა და მოითხოვა ხმოსანთა აზრის გამოთქმას ფრაქციების დეკლარაციული გამოსვლის ხასიათი მისცემოდა.

დეკლარაციები წაიკითხეს: ს.-დემოკ. ფრაქციის სახელით სიტყვა წარმოთქვა გრ. გიორგაძემ, სოც.-რევ. ბ. იევზაძემ, სოც.-ფედ. ი. ნ. უზნაძემ და ეროვ.-დემ. ტ. ჟ. ჯაფარიძემ.

ყველა მათგანი საზოგადოების წინაშე შლიდა მომავალ მუშაობის პერსპექტივებს და შეძლებისდაგვარად ჰპირდებოდა საზოგადოებას ქალაქის ათასგვარი წყლულების დაამებას. სამუნიციპალო პროგრამის განმარტებაში არსებითი განსხვავება არც ერთის მხრით არა ყოფილა, მხოლოდ სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლები უპირატესობას აძლევდენ ამა თუ იმ მომენტს (სოციალურსა ან ეროვნულს) ზოგან მოჭარბებული მოთხოვნილებანიც გამოსჭვიოდა; ბ-ნი დავიდოვიჩი, რომელმაც გიორგაძის დეკლარაცია რუსულად წაიკითხა, ქართველ დეკლარატორზე შორს წავიდა. გიორგაძე სოციალური რეფორმების მოთხოვნილებით კმაყოფილდებოდა, დავიდოვიჩი სოციალურს რევოლუციას უფრო ახლოს გვიახლოვებდა. დაპირებათა შორის საბჭოს დღევანდელ მდგომარეობასაც შეეხნენ; ქალაქის ძველ საბჭოს 600,000 მანეთი დეფიციტი ჰქონია. მომავალ მუშაობისათვის დეკლარატორები მოუწოდებდნენ ხმოსნებს შეერთებას კონტრ-რევოლუციის ასალაგმავად, ხალხის ეკონომიურ ძალების დასაზოგავად და დასახულ ფართო მიზანთა განსახორციელებლად.

სხვათა შორის ერ.-დემ. ფრაქციის წარმომადგენელმა ბ-ნმა **ტრიფონ ჯაფარიძემ** სთქვა: მე წარმომადგენელი ვარ იმ ფრაქციისა, რომელიც თავის რიცხვს აქ ანგარიშში არ უწევს. ეს ფრაქცია რიცხვს კი არა სთვლის, არამედ იწონის. ახალი საბჭო ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი იქნება ფრაქციების შეთანხმებული მუშაობისა. ჩვენი ფრაქცია მუდამ შეთანხმებისაკენ [illegible] ჩვენ წინააღმდეგნი [illegible] ეროვნული უპირატესობისა. სრული ეროვნული თანასწორობა, არის ჩვენი ფრაქციის მთავარი პრინციპი. ამასთანავე ჩვენ ვაღიარებთ, რომ სოციალიზმი ხალხს ბედნიერებას არ მოუტანს. კერძოდ ქალაქის საქმეებში, ჩვენი ფრაქცია ეცდება ქალაქს ახალი საბჭო ნაყოფიერობით, მუშაობით და გარჯით თავისუფალ ერთა საბჭოებს დაამგვანოს, ყოველგვარ მუშაობაში ვიხელმძღვანელებთ ეროვნულის თვალსაზრისით. ვეცდებით ქალაქის წყლულები [illegible] შევუხვიოთ, არამედ მოვარჩინოთ. ქალაქის თვითმართველობა ეროვნული სინიდისის დარაჯი უნდა იყოს. ჩვენი მიზანია სხვისი კულტურული გამოცდილებით ნაყოფიერად [illegible]. ჩვენ მოვუწოდებთ პატივისცემას ყველას აზრისას და შეხედულებისას და მოვუწოდებთ ყველა ცოცხალ ძალებს საერთო სნეული მ[illegible]ბელი დედის განკურნებისაკენ.

დარბაზი საზოგადოება მისი შეხვედრის [illegible] გამოთქმება დეკლარატორებს ტაშით აჯილდოვებდა. დეკლარაციების შემდეგ კრება ათის ნახევარზე შესწყდა, რათა მერე საქმის შესაგროვებლად.

## როგორ უნდა გაიხსნას მომხმარებელთა კოოპერატივი

**ახალი კანონის ძალით**

უპირველესად ყოვლისა დამფუძნებლებმა, ანუ საქმის მოთავეებმა უნდა შეადგინონ წესდება კოოპერატივისა.

სამაგალითო წესდება, რომელიც ცოტაოდენი განსხვავებით ეთანხმება ძველ ნორმალურ წესდებას და რომელშიაც შეტანილია ცვლილებები ახალი კანონის მიხედვით, მზადდება და ამ მოკლე ხანში შეიძლება შეძენა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში.

სამი ცალი წესდებისა, რომელზედაც შვიდ კაცს უნდა ჰქონდეს ხელი მოწერილი, წარდგენილ უნდა იქნას (ფოსტის საშუალებით და ან პირადად) საოლქო სასამართლოში (окружной судъ) კოოპერატივების სარეგისტრაციო განყოფილებაში. წესდებებთან ერთად ამავე სასამართლოში უნდა მიეცეს განცხადება, ხელმოწერილი იმავე შვიდი კაცის მიერ, რომ კოოპერატივი შეტანილი იყოს რეესტრში.

ერთი ცალი წესდებისა დაუყოვნებლივ უბრუნდებათ დამფუძნებელთ და ამავე წესდებაზე იქნება აღნიშნული, რომ სასამართლომ მიიღო სარეგისტრაციოდ წესდება.

ერთი თვის განმავლობაში სასამართლო მოვალეა შეატყობინოს დამფუძნებელთ, რომ კოოპერატივი ან შეტანილია რეესტრში და ან არა. თუ არ არის შეტანილი კოოპერატივი რეესტრში, მაშინ სასამართლომ უნდა აუწყოს ამის მიზეზები.

თუ ერთი თვის განმავლობაში დამფუძნებლებმა პასუხი არ მიიღეს სასამართლოდან, მაშინ კოოპერატივი შეიძლება გაიხსნას და სასამართლომ უეჭველად უნდა შეიტანოს რეესტრში.

ყველა [illegible] ცვლილებების შეტანა უკვე [illegible] კოოპერატივების წესდებებში ხდება ამავე წესით.

ყველა ძველი კოოპერატივები, რომლებიც დამტკიცებულნი არიან ძველი წესების მიხედვით (გუბერნატორის დამტკიცების ძალით). ახალი კანონის გამოქვეყნებიდან, ესე იგი 4 მარტის 1917 წ., ორი წლის განმავლობაში ვალდებულნი არიან შეიტანონ შესაფერისი ცვლილებები თავიანთ წესდებაში და ჩაეწერონ რეესტრში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება ამ კითხვის შესახებ შეიძლება პირადად და ან წერილობით ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საინსტრუქტორო განყოფილებაში.

ძირითადი ცვლილება კოოპერატივებისა ახალი კანონის მიხედვით გამოიხატება იმაში, რომ კოოპერატიული დაწესებულებანი სრულებით თავისუფალნი არიან ადგილობრივი ადმინისტრატიული დაწესებულებების გავლენა ზედამხედველობისაგან და როგორც სრულ-უფლოვანი იურიდიული პირები პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ კანონის და სასამართლოს წინაშე.

ამიტომ ყველა ის მუხლები და შენიშვნები მუხლი წესდებისა (29 მუხლის ბოლო, შენიშვნა 53 მუხლისა და ნაწილი 63 და 65 მუხლებისა) რომლების ძალითაც ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელთ (გუბერნატორებს) დიდი უფლებები ენიჭებოდათ, მოსპობილია—აგრეთვე მოსპობილია ის მუხლები, რომლებითაც იზღუდებოდა თავისუფლება, კრებებისა და პირთა(?) (მე-2 შენიშვნა მე-12 მუხ., მეორე ნახევარი მე-30 მუხ. და შენიშვნა მე-30 მუხ.)

მოსპობილია სრულიად მე-17-ტე მუხ., რომელიც ეხება პაების გადაცემის პირობებს, რადგანაც ახალი კანონის მე-24-ე მუხლის ძალით პაების გადმცემა არ შეიძლება.

ცვლილება არის შეტანილი აგრეთვე მე-12 მუხლში, სადაც ნაჩვენები უნდა იყვეს მცირედი წლოვანობა წევრებისა (ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 17 წლის); მე-55 მუხლში აღნიშნული მცირედი რიცხვი მოგებიდან სათადარიგო თანხაში გადასარიცხავი თანხა 10 პროც. უნდა შეცვლილი იყვეს 20 პროც.-ით. უდიდესი რიცხვი დივიდენდისა პაებზე შემცირებულია 8 პროც.-მდე (იმავე მუხლში), მე-28 მუხლში დატოვებულ ადგილას უნდა ჩაიწეროს რიცხვი ერთი მეათედი (34 მუხ. კანონისა). ახალი კანონი კოოპერატივებს აძლევს უფლებას, რომ საზოგადო კრების მაგიერ რწმუნებულთა კრება იყვეს მოწვეული, თუ ის საჭიროა და თუ წევრთა რიცხვი სამასს აღემატება. (36 მუხ.). ამავე კანონის ძალით კოოპერატივებს შეუძლიანთ დააწესონ დამატებითი პასუხისმგებლობა წევრებისა და ეს პასუხის მგებლობა შეიძლება იყვეს განსაზღვრული და ან განუსაზღვრელი (13 მუხ.) თუ კოოპერატივს დამატებითი პასუხის მგებლობა უნდა შემოიღოს მაშინ უნდა სათანადოდ შეიცვალოს შენიშვნა მე-7, 18 და 79 ე მუხ. ნორმალური წესდებისა. კოოპერატივს შეუძლია განსაკუთრებული ნებადაურთველად და ურეგისტრაციოდ გახსნას განყოფილებები (10 მუხ.). ახალი კანონის ძალით კოოპერატივი შეიძლება იმ გვარ ც იყვეს, რომ ყველა ნაირი ოპერაციები (სავაჭრო, საწარმოო, საშუამავლო და საფინანსო) აწარმოვოს, ე. ი. შეიძლება გაერთიანებული კოოპერატივის დაარსება. (ამ გვარი კოოპერატივების წესდებები მზადდება და მოკლე ხანში იქნება აშიერ კავკ. კოოპ. კავ—ში). სხვა და სხვა გვარ კოოპერატივებსაც შეუძლიანთ ერთად შეკავშირება. მომხმარებელთა კოოპერატივებს შეუძლიანთ აწარმოვონ მიბარებული ფულების ოპერაციები.

# პატარა ფელეტონი

## კაცს რაც შუბლზე აწერია ის თავის დღეში არ ასცილდებაო.

(დასასრული)

II

მეორე დღეს სოფელ ნაბოლარში ხმა გავარდა, რომ ბასოს ბალია გადაცვლია და ცოლი გონება დაკარგული მოუყვანია შინაო.

მთელი ნაბოლარი ბასოს სახლს მიაწყდა. ყველა გონება დაკარგულის სანახავად მიისწრაფოდა. ხალხი ცოტა არ იყოს გაკვირვებული გამოდიოდა ბასოს სახლიდან.

— კაცო რა ადამიანია?!—ამბობდნენ ერთნი,—იქ შვილი აღარა ჰყავს, იქ ცოლი ცოცხლებში აღარ ეთვლება და იმას ვაი ძახის რა ვქნა ალბათ ღორსი არ ვიყავი რომ ღმერთმა ეს შემძლებნაო, ალბათ ჩემი წერა ეს იყოვო.

— ალბათ არც ეგ არის თავის დონეზე რომ აგრე რაღასაც მიედ-მოედებაო.—ამბობდნენ მეორენი.

— მაშა, მაშა! არც ეგ არის თავის დონეზეო.—უკრავდნენ კვერს მესამენი.

III

გავიდა ორი კვირა და სალომეც თან გაჰყვა თავის ბალიასა. ხალხი იძახდა არც ქმარი იცოცხლებს დიდხანსო.

ბასომ თმები და წვერები გაუშვა და წელზე სამგლოვიარო შავი სარტყელი შემოიკრა. გარეთ საქმეზე თუ ნახავდა ადამიანი თორემ, ისე, ხალხში გამოსული არავის უნახავს.

მაგრამ გავიდა წელიწადი და ბასოს გული მოეშვა. წლის წირვა გადიხადა. თმა და წვერი შემოიკრიჭა, სამგლოვიარო სარტყელი მოიშორა წელიდან და ხალხში გამოვიდა. ცოტა არ იყოს ცოლისა და შვილის დაკარგვა დამჩნეოდა, სახეზე ღარები მოჰპატებოდა და თმაში ჭაღარა შეჰპარვოდა, მაგრამ წელში მაინც გამართული დადიოდა. ქვეყანა ჰკვირობდა...

— ღმერთმანი ბევრი კარგი ახალგაზრდაც ვერ წაუდგება წინაო!—იძახდნენ ნაბოლარში.

— კიდევაც, კიდევაცო!—უკრავდნენ კვერსა.—აბა, ნახავთ რომ მეორედ ცოლშვილიანობას არ მოეკიდოსო.

მართლაც მალე ბასომ მეორე ცოლი მოიყვანა და ხელ-ახლად გაიჩაღა თავისი ოჯახური ცხოვრება.

IV

შუა ზაფხული იდგა. მზე ტატნობს ახლად ამოსცილებოდა და ქვეყანას უცინოდა: ულრუბლო ლურჯი ცა ზე აბარებდა. სოფელ ნაბოლარში კალოებზე ძნასა შლიდნენ.

— მამა, დათას ცხენები კიდეც მოჰყავს და!—წამოიყვირა ერთ კალოზე ექვსი წლის ბალღმა და თან ხტუნვით დაუმატა,—ჰირ მე! ჰირიმე! ყველაზე ადრე ჩვენ შევაბამთ!.. ჩქარა, მამა, ჩქარა, ადე!

მამად წოდებულს ძნა ჩაეშალნა და ჩრდილში მოეკალათნა. ცხენების გაგონებაზე ფეხზე წამოდგა: ბასო იყო; თუმცა თავი საკმაოდ თეთრად მოჰფიფქოდა, მაგრამ ჯერ კიდევ მაღლა ეჭირა. კევრებისკენ გაემართა.

— მე შევაბამ მამი, მე! შენ თავი დამანებე!—დაუძახა ცხენების მომრეკმა, რომელიც ასე 10 ან 11 წლისა თუ იქნებოდა, და კევრებს სწრაფად ხელი წაავლო.

— ყოჩაღი მყავს ჩემი დათა, ყოჩაღი! იმათ არა ჰგავს: პირველისაგან რომ მყავდნენ!—სთქვა თავის გუნებაში ბასომ და კევრებთან მოფუსფუსე ბალღს სიამოვნებით თვალი გადაავლო.

დათა მართლაც დიდი ხალისით აკეთებდა საქმესა.

— რა მარდი რამ არის! ჯერ მიწას რიგიანად ვერ ასცილებია და უყურეთ რას ჩადის ერთი!—წამოიძახა მეზობელ სოფლიდან მომავალმა ცხენოსანმა და შეჩერდა.

— ოჰ, ლაზო, შენა?!—გაეხმაურა ბასო,—სადა ხარ რომ თვალი ვეღარ დაგკარით?

ლაზომ ბასოს სიტყვებს ყური არ ათხოვა. ბალღმა შეიპყრო მისი თვალი.

— ერთი მითხარი, ვისია?—შეეკითხა ბასოს და დათაზე მიუთითა.

— ჩემია, ვისი, უნდა იყოს!—მიუგო ბასომ ამაყად და თან დაუმატა,—ჯერ თერთმეტისა არ არის.

— შენია?!

— ჰო!... მეორე ცოლისაგან არის. ამას გარდა ერთი კიდევ—მიუთითა ბასომ ექვსი წლის ბიჭუნაზე, რომელიც დათას თავს დასტრიალებდა და თან დაუმატა.—ერთი შინა მყავს: სამი წლისაა.

— მე კი მეგონა, შენ იმ უბედურებას აღარ გადაურჩებოდი. შენ კიდევ მეორე ცოლიც მოგიყვანია—უთხრა ლაზომ ღიმილით—მას შემდეგ მე აქეთკენ აღარ მივლია. სხვა მხარეს ვიყავი სარჩოს საშოვნელად.

— რატომ არ უნდა გადავრჩენილიყავ?—წამოიძახა ბასომ. ღმერთმა აცხონოთ! მე მათთვის არა დამიკლია რა- ისე მიყვარდა, როგორც ესენი. მაგრამ რაკი წერაა, წერაა! რას იზამ?.. კაცს რაც შუბლზე აწერია, ის თავის დღეში არ ასცილდება.

— ვაიმე!—გაისმა უცბად ბავშვის გულსაკლავი ხმა და სიჩუმე ჩამოვარდა.

ბასომ მიიხედა და თავისი დათა გულ წასული დაინახა.

— რა მოუვიდა ბიჭო ილო?—შეეკითხა ელდანაკრავი უმცროს შვილსა და გულწასულს მივარდა.

— ცხენმა მუცელში წიხლი გაარტყა—მიუგო ილომ.—ლაჯებში ხელი შეუყო, მუზანკალი უნდა გამოეცალა.

ბასო ბავშვის მობრუნებას შეეცადა მაგრამ ფერას გახდა.

ლაზო ცხენიდან გადმოვიდა და უბედურს მამას მიუახლოვდა. კალოზე ხალხი მოგროვდა.

— თინა სად არის, ქა?—იკითხა ერთმა დედაკაცმა.

— დედაჩემი წელან შინ წავიდა წყლის ჩამოსატანად!—აუწყა ილომ.

ბავშვი გარდაიცვალა.

— ამ კაცს ქა იღბალი არა აქვს! —წამოიძახა მეორე დედაკაცმა—უბედურ ვარსკვლავზეა დაბადებული, შვილები არა რჩება.

— კაცს რაც შუბლზე აწერია, ის თავის დღეში არ ასცილდებაო!—გაიმეორა ლაზომ ბასოს წელანდელი ნათქვამი სიტყვები და თავჩაქინდრულმა თავის ცხენისკენ გასწია.

ინ—ბანი.

# წყლის ენერგიის მოხმარების კანონი*)

კანონპროექტის მეორე მხარესაც უნდა მიექცეს ჩვენი სერიოზული ყურადღება: მთელი კანონპროექტი გამსჭვალულია კერძო შემოქმედების შეზღუდვის პრინციპით. ჩვენ კარგად გვესმის, რომ სახელმწიფოს ბევრი იმგვარი საჭიროებანი აქვს, რომელნიც მოითხოვენ კერძო პირთაგან ერთგვარ მსხვერპლს და საკუთარ უფლებების უარყოფასაც. ეს არის საკითხები, მაგალითად, სახელმწიფოს დაცვისა, საერთო მიმოსვლისა (რკინის გზისა, ნავოსნობისა) და სხ. მაგრამ ჩვენ ვერ ვეთანხმებით იმას, რომ სახელმწიფო ერევა კერძო პირების ყოველგვარ შემოქმედებითი მუშაობაში „თეთრი ნახშირის" გამოყენების საკითხში. კანონპროექტი ამბობს, რომ ყოველგვარი წყლის ენერგია „თეთრ ნახშირად" გამოსაყენებელი სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენს და მხოლოდ მისგან გადაეცემა ხოლმე, როგორც კერძო პირებს, აგრეთვე საზოგადო დაწესებულებებს (ერობას ან ქალაქს). ეს ყოვლად შეუწყნარებელია, რადგანაც განსაზღვრული უნდა იყოს დიდი და პატარა ჰიდრავლიური მოწყობილებანი. იმგვარი მოწყობილობა, რომელიც ემსახურება რომელიმე საწარმოს ან სამეურნეო მიზანს, ან პატარა ქალაქის ან სოფლის განათების საქმეს და რომლის სიმძლავრე გ-ნიზომება რამდენიმე ასი ცხენის ძალით, არ უნდა ჩამოერთვას კერძო პირებს, უნდა იმყოფებოდეს კერძო პირთა თავისუფალ ხმარებაში. სახელმწიფოს ან ადგილობრივ თვითმართველობის როლი ამ შემთხვევაში მხოლოდ ზედამხედველობაში უნდა გამოიხატებოდეს. გარდა ამისა დიდი ჰიდრავლიური მოწყობილებანიც არ უნდა იყოს ასე შეზღუდული და შებოჭილი, როგორც ამას კანონპროექტი აპირებს. რასაკვირველია, ყოველი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ ერთგვარი მონოპოლია არ დაწესდეს კერძო პირის ხელში, ან ტეხნიკურ თვალსაზრისით უფრო რამ არ აშენდეს უცოდინარობის გამო, მაგრამ წინდაწინვე იმის გადაწყვეტა, რომ ყოველგვარი ან შემდეგში ჰიდრო-ელექტრონული მოწყობილებანი და მთელი „თეთრი ნახშირის" მოწყველობა სახელმწიფოს ან საზოგადო დაწესებულებათა ხელში იქნება—ეს რუსეთისთვის რაღაც აჩქარებულ და აუსრულებელ ფანტაზიას წარმოადგენს; ვფიქრობთ, რომ სასარგებლო იქნეს იმგვარი იურიდიული ნორმა, რომელიც ასეთ მდგომარეობას ითვალისწინებს.

ჩვენთვის გასაგები იქნებოდა ამგვარი მისწრაფებანი შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, შვეიცარიაში, სადაც „თეთრი ნახშირი" და საზოგადოდ მრეწველობა მაგარი ფეხით დგას; აქ ვალი წარმოადგენია ასეთ ქვეყნებში ბრძოლა ბოჰმეს ამ მრეწველობის კერძო პირებისაგან სახელმწიფოსათვის გადასაცემად; თუმცა ამ შემთხვევაშიაც ბევრი რამ ითქმის ამ ბრძოლის წინააღმდეგ. რუსეთში კი, სადაც ეს მრეწველობა მხოლოდ იბადება და დაიბადება კი მხოლოდ კერძო ინტერესების შემოქმედობით, კანონმდებლობა უნდა აადვილებდეს ამ დაბადებას.

კარგად უნდა გვახსოვდეს მაგალითი რუსეთის ქალაქების კანალიზაციის (საწმენდი არხების გაყვანის) კანონები შეუმუშავებისა, რომელმაც იმგვარი აჟირებული მოთხოვნილებანი წამოუყენეს ქალაქებს, რომ აგერ რამდენიმე ათი წელიწადია კანალიზაციის განხორციელება კუს ნაბიჯით მიდის წინ.

საჭიროა კიდევ ერთ მხარეს მივაქციოთ ყურადღება. კანონპროექტი ამტკიცებს, რომ წყლის ნაპირების ძალით გამოსყიდვის დროს, სხედველობაში არ მიიღება ის ღირებულება, რომელიც ეძლევა ადგილს ჰიდრავლიურ ძალებით. მართალია, კერძო პირების მადა შეზღუდული უნდა იქნეს სახელმწიფოებრივი ანუ საზოგადოებრივი ნორმებით, რადგანაც ყველა ადგილის პატრონის დაკმაყოფილებას რომ შეუდგეს „თეთრი ნახშირის" მრეწველობა, მისი ყვავილება შეუძლებელი შეიქმნება და ადგილების ღირებულება აუტანელ ტვირთად დააწვება ჰიდრო-ელექტრონულ ენერგიას; მაგრამ აქედან ჰიდრავლიურ ძალების უფასოდ ჩამორთმევამდე დიდი მანძილია. სახელმწიფომ (უკეთ რომ ვსთქვათ ადგილობრივმა თვითმართველობამ) უნდა იკისროს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფალი მორიგება არ მოხერხდება, ძალით გამოისყიდოს ჰიდრავლიური ძალები მათი ხამართლიანი დაფასებით. უფასოდ იმ სიმდიდრის ჩამორთმევა, რომელსაც „თეთრი ნახშირი" წარმოადგენს, რა მისაზეზებითაც უნდა ხდებოდეს ეს, კერძო პირთა უსამართლო გაძარცვა იქნება და როგორც ეგეთი, დაკანონებული არ უნდა იყოს. ის კაცი, რომლის მამულშიდაც 50 000 ცხენის ძალიანი წყალვარდნილი იმყოფება, რაც უნდა მცირე იყოს მამულის მიწა, ძლიერ მდიდარ პირად უნდა ჩაითვალოს და რატომ უნდა დარჩეს აუნაზღაურებელი ეს სიმდიდრე მიწების გამოსყიდვის დროს? რა ლოღიკური განსხვავებაა, მაგალითად, „შავ" და „თეთრ" ნახშირის ძალით გამოხატვაშია? რატომ უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ პირველი?

კანონპროექტის შემდგენელნი ამ პუნქტს ამართლებენ იმით, რომ ჰიდრავლიური ძალები ჯერ-ჯერობით ყიდვა-მიცემობის პროცესში არ გადასულან. ამ გვარი გამართლება ამ პუნქტისა რაღაც გაუგებრობას წარმოადგენს, რადგანაც ერთ დროს ქვა-ნახშირიც, რკინაც, სპილენძიც უძრავად იმყოფებოდნენ დედამიწის გულში, ეხლა კი ისინი ალებ-მიცემობის ხანას განიცდიან. ჩვენის აზრით „თეთრ ნახშირის" და სხვა გვარ სიმდიდრის შუა (მაგალითად რკინის, ოქროს, ტყვიის და სხ.) მხოლოდ დროებითი გაიგებული განსხვავება არსებობს და არა ლოღიკური. თუ რუსეთის პრაქტიკაში არ მოიპოვება საბუთები ამ პუნქტის სამართლიანად გადასაწყვეტად, მთელი დასავლეთ ევროპის და ამერიკის პრაქტიკა ხომ ბევრს მასალას იძლევა ამის თვის?

აი ის საკამათო მხარე ამ კანონპროექტისა, რომელნიც წინად მოვიხსენიეთ. უფრო დაწვრილებით განხილვა კანონპროექტისა საყოველთაო პრესის საქმეს არ წარმოადგენს. მან უნდა ლინიშნოს მხოლოდ უმთავრესი ნაკლულევანებები და მიაქციოს მასზე საზოგადოების ყურადღება. ჩვენი ტეხნიკოსების და იურისტების მოვალეობას შეადგენს, ამას თუ ამ კანონპროექტის პუნქტობრივი განხილვა, არამცთუ მთელი მისი სახის დაფასება და, თუ საჭირო იქნება, ახალი კანონპროექტის შედგენაც. სადაც უნდა გადასწყდეს ეს საკითხი, ცენტრში თუ ადგილობრივად, ქართული საზოგადოება ფხიზლად და ყურადღებით უნდა ადევნებს თვალს. კანონპროექტი უნდა ადვილებდეს „თეთრი ნახშირის" ტეხნიკის აყვავებას, ხელს უნდა უწყობდეს მას. უმთავრესი აზრი ეს უნდა იყოს. ეკონომიური და სოციალური დილეტანტურ ექსპერიმენტებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც ამგვარი საკითხები თვით ხალხის სისხლ-ხორცს ეხებიან.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძე.

# კორესპონდენცია

## ქართლიდან

არყის გამოხდა სოფლად.

დღევანდელმა მწვავე მდგომარეობამ სოფლის მცხოვრებს არ ებობის მწვავე საკითხი დაუყენა. გლეხ გაორკეცებული ენერგიით ებრძოდა მიწას და აწვალებდა ოფლს, რომ მას ენ მაინც მიეღო წლის სარჩო-საბადებელი და ამითი თავიდან აეცდინა მ შავალი სიღარიბე თუ არა სიმშილი მაინც. იმედი გაუცრუვდა. თუმცა გაზაფხულით ჰირნაზულს კარგი პირი უჩანდა მაგრამ შემდეგ ხანგრძლივმა გვალვამ სრულებით გააფუჭა. დარჩა მათ იმედად სხვილი სიმინდი. აგერ სიმინდის შემოსვლის დროც მალე დადგება, მაგრამ ტარო კი არ უჩანს. დღემდე მცხოვრებლები კოოპერატიული დუქნებიდან ყიდულობდენ ფქვილს და ამითი ირჩენდნენ თავსა, მაგრამ რაც დრო მიდის იმდენად უფრო ძნელდება სხვა და სხვა კუთხიდან ხორბლის და ფქვილის შემოტანა და წელს ხომ არა ერთხელ უცნობებია ჩვენთვის გაზეთის ფურცლებს, რომ ფქვილის შემოტანა რუსეთიდან შეუძლებელი არისო, გვიპირდებიან თვით დიდი მოსავლიანი კუთხეებიც კი დაიმშნენო.

აი ასეთ დროს ეხლაა საჭირო, რომ სოფელს ადგილობრივმა კომიტეტმა ამოუჩინოს მიმობრივი სიყვარული, უშუამდგომლოს სადაც ჯერ არს და ამითი მშრომელი ხალხი იხსნას განსაცდელისაგან, რომელიც დღეს თუ ხვალ უცილებლად დაეწევა თავსა.

დღეს კი სოფლად სულ სხვა რამესა ვხედავთ რითაც თამამად შეგვიძლიან გამოვსთქვათ ის დასკვნა, რომ ამ მხრივ სოფლის მესვეურთ ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ, რაიცა ცოდვათა ჩავუთვლებათ უსათუოდ ერთი სოფლის სამმართველოში მომიხდა შესვლა და ჩემს განცვიფრებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც დავინახე, რომ რაღაცნაირი საარაყე ქვაბებს, ზარფუშებს და გობებს ერთად მოეყარათ თავი.

ადგილობრივ კომისარიატს გამოუცხადებია ხალხისთვის, საარაყე ქვაბები ვისაც კი გქონდეთ მოიტანეთ სამმართველოში და ამათაც შეუსრულებიათ. მეც მეგონა, რომ ეს კეთილი განკარგულება დროებით მაინც შეაფერხებდა არყების ხდას და ამ ქონაზულის კრიზისში ცოტა შეღავათს მისცემდა ხალხს. მაგრამ „ჩვეულება სჯულზედ უმტკიცესია"-ო ამბობს ხალხი.

ორიოდე წუთი არ გასულა, რომ თავიანთ შემოვიდნენ სამართველოში რამდენიმე დედაკაცი და შემდგომ მოსალმებისა აიღეს ნებართვა კომისარიატისაგან და რამდენიმე ქვაბი წაიღეს არყის გამოსახდელად. მათ გზაში შემოეყარნენ მეზობელი ქალები, რომლებიც ეხვეწებოდნენ: შემდეგ მე მათხოვე ეს ქვაბიო.

დღე არ გავა, რომ თვითეულ ოჯახში თითო ქვაბი მაინც არ გამოიხადოს, ასე რომ დღევანდელი სოფელი არყის ქარხნად არის გადაქცეული, სადაც მხოლოდ სამ მანეთად შეგიძლიანთ იყიდოთ ჩარექა არყი. თუ ასეთი გაჭირვება ხში ალ განმეორდა რასაკვირველია, რომ ის მცირე მოსავალი რაიცა მოუვიდათ მალე სრულიად შემოეხარჯებათ და მაშინ ყოველივე ცუდა პურის გაჭირვება ამათ იქნება. მათ არც ერთი კუთხე არ გაუშვებენ ხელს, ვინაიდგან ყოველივე კუთხე სადილობს, რომ შეიძინოს იმდენი ჰინაზული, რაიცა დიდი მეყაიის ხმარ ბით ეყოფათ დროებით.

იმედია ამ ფრიად დიდ მანკიერებაზე და თავზარ დამცემ მოვლენას მთავრობა მიაქცევს რა ყურადღებას მიიღებს შესაფერ ზომებს რითაც აღარ მოვლინებს ნიადაგი აღარ ჰქონდეს სოფლად.

გ. სადამონა.

## კობულეთიდან

ზღვაზე მოჩანავე ძლიერ წვიმა. ამინდიც კარგია, რამდენიმე დღეს პურის კრიზისი, იყო რის გამო სამკუთხედოდ მოსულები მთელი დღე პურის რიგში ფეხზე იდგნენ. თითოეულ სულს აძლევდნენ ორ-ორ გირვანქას. როგორც ყველგან ისე აქაც საშინარი სიძვირეა. ვაჭრები საზოგადოთ პროვინციებში მეტ თავხედობას იჩენენ, ვიდრე დიდ ქალაქებში. ამას მაგალითად იძლ კმარა რომ ბათომში ხორცი უფრო იაფი და უკეთესია, ვიდრე აქ. სასურსათო კომისიამ ფუთ სიმინდზე ოთხი მანეთი დააწესა, სოფლელებს ამ ფასად აღარ შემოაქვთ გასაყიდი.

ამ დღეებში აქ ტრაპიზონიდან მოასვენეს მურად-ბეგი ნიჟარაძე, (ძმა რეჯებ-ბეგისა). განსვენებული უწყინარი მუშა კაცი იყო, ტრაპიზონში მოიჯარადრობდა, იქ ფული შეეძინა და შინ წამოსვლას რომ აპირებდა წინა ღამით თოფით მოუკლავთ და გაუძარცვავთ. სამწუხარო შვილობა ყველას ეცოდება.

აპ. წ—ძე.

რედაქტორი ზაქარია მეშველი.

# კალენდარი

## პარასკევი ენკენისთვის 8

ქართვ. † შობა ყ-დ წმ. ღვთისმშობლისა მარიამისა.

კათოლ. † შობა ღვთისმშობლისა.

სომეხ. † შობა ქალწულ. მარიამისა.

მაჰმად. ჯუმა 4 რ. ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომშიშ 5 რ. თიშრისა 5678 ქვეყ. შექმ.

## შაბათი ენკენისთვის 9

ქართვ. წმ. და მართალთა მშობელთა ღვთისათა იოაკიმ და ანნასი.

კათოლ. წმ. სერგიასი და ნერაფინასი.

სომეხ. ნიკეის წმ. კრების 318 წმ. მამამთავართა.

მაჰმად. შამბე 5 რ. ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. შაბათ 6 რ. თიშრისა 5678 წ. ქვ. შექმ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | საფ. | № 5, | 11.32 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 | საღ. |
| მინერალ-წყლისაკენ | სამგზ. | № 19, | 8, 17 | დ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 | დილ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 2.46 | საღ. |
| ჯულფისაკენ | სამგზ. | № 4 8, | 12.15 | საღ. |

თბილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.88 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 7.41 | საღ. |
| მინ.-წყლიდ. | სამგზ. | № 20, | 7.67 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 | საღ. |
| ყარსიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8 | 10.26 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.20 | საღ. |
| ჯულფა-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 7 53 | დილ. |

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

კ უ რ ს ე ბ ი

# ფ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სეკტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უფასოდ კურსების კანცელარიაში.

თ—734—16

# საავადმყოფო

ხაზინადარ. ბინა სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელიაშვილი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დღეშიანთი 10—12 ს. ყოველდღე.

გაგნაძე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

ახმეტელი—ყურის, ყელის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.

ფირალოვა—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.

მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.

ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. სამშაბ. და კვირაობით.

ბეგზადოვი—ქალთა და სქესობ. ყოველ დღე 3—3 საათამდე.

იოსელიანი—ქალთა და სქესობ. ავად. ღვთისმსახ. ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.

ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.

დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.

ტერ-ცაკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

მაგალოვეშვილი—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.

ანდრონიკაშვილი—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—60

# თამბაქოს ფაბრიკა

# ძმ. ბოზარჯიანი

[illegible] № 3, [illegible] № 715.

[illegible] (წ.)



გამომცემელი „[illegible]" საზოგადოება